



გაგორდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

შაბათი, 29 დეკემბერი. 2018 წ. №265 (8666) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 60 თეთრი

## 2019

### წელიწადს ჩვენი ერის გონიერებას ქვეყნის ყოველმხრივი ღონიერება მოჰყოლოდეს! მრავალს დაესწარით!



თითქოს გუჟინ  
დაახაროს

წმინდა  
ილია მართალი  
- ჭაპჭაპაძე:

ყველამ მოვინანიოთ  
წარსული წლის შეცო-  
დებანი და ახალ წელს  
მივეგებოთ ახალი  
ძალითა და მხნეობით.  
გულწრფელად და  
ღრმად ჩავიჭედოთ  
გულში ეს მცნება:  
სადაც ვცხოვრობთ და  
რომელი ქვეყნის შვი-  
ლებიცა ვართ, რომე-  
ლი ქვეყნის პურით,  
ღვინით, წყლითა და  
ჰაერით ვსაზრდობთ,  
იმას ვარგოთ რამე. თუ  
ჩვენთვის და ჩვენი  
ქვეყნისთვის ვიქნებით  
კარგნი და ჩვენ საკუ-  
თარ შინაურ საქმესაც  
წავიყვანთ კარგად,  
მაშინ მთელი კაცობ-  
რიობისთვისაც სასარ-  
გებლონი ვიქნებით.



### გარეთ მტერს ③ პუყანებთ თვალს და შიგნით - მოყვარეს!

გურამ საღარაძე:

### ღაე, ყველაგ ისოღეს, ④ საიღან მოველით...



პრეზიდენტი:

### ზვიად გამსახურდიას ეკვლეოვის გამოძიება ჩვენი ქვეყნის ღირსების საქმეა!

პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების დაუდგენელი გარემოებების გამოძიების საქმესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„მივესალმები საქართველოს პარლამენტის გადამწყვეტილებას და ასევე მთავარი პროკურორის მზაობას თავად უხელმძღვანელოს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების უკვე ათწლეულების მანძილზე დაუდგენელი გარემოებების გამოძიების საქმეს.“

იმედს გამოვთქვამ, რომ მთავარი პროკურორის ხელმძღვანელობით გაწეული სამუშაოს შედეგად, პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების გარემოებებს ნათელი მოეფინება და აღდგება ისტორიული სამართლიანობა, რაც ჩვენი ქვეყნის ღირსების საქმეა.“

რადგანაც „პირველითგან იყო სიტყუაღ და სიტყუაღ იგი იყო ღმრთისა თანა და ღმრთი იყო სიტყუაღ იგი“...

რადგანაც 100 წლის ქართული სიტყვიერების ცოცხალი მეგლი „საქართველოს რესპუბლიკა“ ღმრთივით მაღალი ქართული სიტყვის მსახურია, მას გემოვნებიანი მკითხველის გულის გატბობა და მთელი ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა შეუძლია...

სწორედ ამიტომ უნდა გამოიწეროს, იყიდოს და იკითხოს ეს გაზეთი ყველამ, ვისაც ანკარა ქართულით მოთხრობილი საკუთარი ქვეყნის წარსული და დღევანდელი აინტერესებს!..

მთავარი რედაქტორი

© შანი ძვთა შავროვიანსა



# გუბაზი და გუბაზეულები პრანზე და პრანს მიღმა

ქალინანც არ უნდოდა, მაგრამ მაინც გავიდა 2018 და ახლა წლის მანძილზე ნასროლ-გაფანტულ ქვათა შეგროვების ფაზაშია.

პირველივე ნაშრომზე გავაკლიანებს, რომ ჩვენი საშველი არ არის.

არა და არ გამოგვდის მშვიდად ცხოვრება. სულ ბოლო კვირები ავიდოთ.

ვინ იფიქრებდა, რომ ნაცოპოზიცია ასეთ ბოროტებას ჩაიფიქრებდა – საინაუგურაციო ზეიმის ჩაშლას თელავში, აქაოდა, სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობას არ ვცნობთო.

ჯერ ერთი, თუ არ ცნობ, ეს შენი პრობლემაა და მე ნუ მჩრი ცხვირში. მეორეც, ვინც ვცნობთ, გაგვატარეთ! მაგრამ, გაგვიგია?!

და თელავის გზას გაუყვავა ყველაზე ჭიჭყინა, ყველაზე აყვია და ყველაფრის ფეხებზე მკიდია ხალხი და რაც ამ გზაზე ველისციხესთან მოიმოქმედეს, საქვეყნოდ ცნობილია.

ასეთი ღრიანცელი და განეგვამონევა ამ ისტორიულ კახურ სოფელთან მთელი მისი არსებობის მანძილზე სულ ორჯერ იყო. პირველად მაშინ, როცა სრულიად საქართველოს ჭაბუკმა მეფემ ლაშა-გიორგი თამარის ძემ უკადრებელი იკადრა, იქ სტუმრად მყოფმა ვინმე აზნაურს ცოლი წაპყვარა და თბილისისკენ გააქროლა. მეორედ კი მაშინ, როცა იქ მონადიმე უფლისწული ლევანი, მამის – მეფე ერეკლე მეორის იმედი, მორიგე ჯარის შემქმნელი და სარდალი მონამლეს და პატარა კახის თანაბრად მთელი ამერ-იმერი ძაძით შემოსეს.

სწორედ იმ გზაზე იყო, ნაციონალური მოძრაობის, ანუ გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთმა ბურჯმა დავით კირკიტაძემ, აქამდე რომ მხოლოდ ყოჩი ბიჭი გვექონა, თურმე კი პოლიტიკის ამომავალმა ვარსკვლავმა, თავისი ამ აღმატებული სტატუსის ყოვლად შეუფერებელი, ჩვეულებრივი ხულიგნური საქციელი ჩაიდინა – ავტობუსში პოლიციელს მიუხტა და სახალხო დასცხო. და როცა ამ საქციელისთვის სრულიად ბუნებრივად და სამართლიანად ჩასვეს, მთელმა სანაცემთა ცა ფეხად ჩამოიყვანა, როგორ თუ პოლიტიკოსი კაცი ციხეში ჩააგდეს ხულიგნობის ბრალდებითო.

და არც ერთ მათგანს, თვით ისეთ „გრანდებს“, როგორებიც გიგა ბოკერია ან სერგი კაპანაძე არიან, რო-

მელთაც თითქოს სხვაზე მეტი მოეთხოვებოდა, სიტყვაც არ დასცდენიათ კირკიტაძის უმსგავსი შეხტომების დასაგმობად. პირიქით, ათასი გამამართლებელი ვარიანტი შეაგებეს.

ახლა სულ მთავარის – ნაცური მოძრაობის ახალშობილი ვარსკვლავის და კინაღამ საქართველოს პრეზიდენტის გრიგოლ ვაშაძის პოზიციაც ვნახოთ. მან მომენტი მარჯვედ დაიჭირა და სრულიად საქართველოს მოუწოდა: „ჩვენ უნდა დავამხოთ ხელისუფლებას“. მაგრამ მერე, როცა გვერდით მდგომმა უფრო ფხიზელმა თანამოაზრემ უქიმუნჯა, ადრე ნათქვამს მიაბლანდა „კანონიერი გზითო“. ო, რა შებერტყილი ბიჭი ხარ, გრიშა?!

საკვირველია: ეს განათლებული, დალაგებული ბიოგრაფიის მქონე, დინჯი კაცი, ასე რამ ააცუნდრუკა?! ნიკანდრო მელიასაც კი გადაუსწრო „ბუნტარობით“, ქუჩის აქციებისკენ სწრაფვით ვითომ ჩაშლილი პრეზიდენტობის სიმწარემ? ბევრს გამოეცალა ხელიდან შეპირებული თანამდებობა, მაგრამ ასე არ გადაარეულა.

უკაცრული ნათქვამია, მაგრამ ის დაემსგავსა სახედარს, რომელსაც დრუნთან თოვით ბლუჯა ბალახი ჩამოუკიდეს და ისიც დაოთხილი მიქრის ამ ბალახის მისანვლომად, ვერ ენევა და თავდავიწყებით მიჩაქჩაქებს, ვერ ჩერდება.

ამ კაცმა ვერა და ვერ მოინელა, რომ ფეხი დაუტყდა, მეორე საპრეზიდენტო მოსახვევში და ტახტის ნაცვლად წუმპეში მოადინა ზღართან. უბედურება ის არის, რომ ამ წუმპიდან ამოსასვლელს ვერ პოულობს. იძულებულია, ზალიკო უდუმაშვილთან ერთად იაროს ალილოზე სოფელ-სოფელ და კვერცხები აგროვოს – ხალხი ხელისუფლების დამხობის (რა თქმა უნდა, „კანონიერი გზით“) აზრზე დააყენოს.

აი, ამ ქიდაობაში გავიდა 2018 წელი და როგორც კოჭებში ეტყობოდა, ასეთივე ქიდაობით შევებიჯეთ 2019-ში და ინერციით, ალბათ, სულ ცოტა სამი-ოთხი თვე მაინც ვიჭენებთ, თუ მთელი წელი არა.

ყოველ შემთხვევაში მსგავსი პროგნოზი დაჯერებულია, დამაჯერებლად და უტყყურად მოგვახარა იმ დღეს „კავკასიის“ ეკრანიდან გუბაზ სანიკიძემ – ნათელსილველმა, ნათლისმცემელმა, ოქროპირმა, ბოროტის მტერმა და ბოროტის მხილების დიდოსტატმა.

ოღონდ მას ჰგონია, რომ ხალხს აღარ ახსოვს სინამდვილეში ვინ არის, რას წარმოადგენს ეს უქნარა და მცონარა კაცი, რომელიც სრულიად შემთხვევით, უფრო სწორად განგების ხუმრობით მოხვდა პარლამენტში („ქართული ოცნების“ კოალიციით), იქ ოთხი წელი სხდომებზე ნეტარი ძილით ეძინა (ეს უამრავ ფოტოზეა უკვდავყოფილი), თითო თითზე არ დაუღია,

თუმცა ახლა „გვახსენებს“, თუ როგორ ანთებდა ცეცხლს პარლამენტის ტრიბუნიდან, თავის ცხოვრებაში მამასთან – ისტორიკოსსა და მწერალ ლევან სანიკიძესთან ერთად გამოქვეყნებული მომცრო წიგნის „უბის ისტორიის“ მეტი რომ არაფერი შეუქმნია და ახლა, როცა ხელისუფლების კრიტიკა „კარგ ტონად“ იქცა, „კავკასიის“ ეკრანზე მოიღერა ყელი.

მისი გულამომჯდარი, ერის სიყვარულით აღვლევებული მხილებანი სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, საქმე ის არის, რომ ეს მხილებანი ახლებურად შეფუთული ძველია, გადაღეჭილია, უკვე არაერთგზის ნათქვამია სხვათა მიერ და როგორც ასეთ დროს ხდება, ზოგი მართალია და ზოგი ქორი, მაგრამ გუბაზის მიერ ნათქვამი მაინც სხვაა (თავად ფიქრობს ასე აღმატებულად) – მისი ძალად გაკუჭება და ვითომ გაბრაზებული ქლოშინი მართალი კაცის გაავეებას და საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანას ისე ჰგავს, თუ არ იცნობ, მართალი გვეგონება.

მაინც რას უკიჟინებს ხელისუფლებას ეს კაცი? იმას, რომ მან გააღატაკა ქვეყანა, დაამშია ხალხი, რომ არაფერი უღონია მდგომარეობის გამოსასწორებლად, რომ საკუთარ ჯიბეში იდებს ყველაფერს და მოსახლეობა ფეხებზე ჰკიდია, რომ ქართული სახელმწიფო, როგორც ასეთი, არ არსებობს და რაც არსებობს, დღე-დღეზე ჩამოიშლება, რომ მისი მინისტრები ბანდიტები არიან, პარლამენტარები კი ჩვეულებრივი დამნაშავენი.

ერთი სიტყვით, ეკრანიდან იწყებებოდა კუშტად შუბლ შეკრული მართალი კაცი, რომელსაც მხოლოდ სამშობლოს სიყვარული ალაპარაკებს, თორემ „ოცნების“ მტერი სულაც არ არის“.

ვისი დარისი მოყვარება, ვისი და რისი მტერია ბატონი გუბაზი, ვფიქრობ, თვით ბატონმა გუბაზმაც არ იცის კარგად. მას, უბრალოდ, თავდავიწყებული პატრიოტის მანტიის მოსხმა სურს, ეს პოზა სასარგებლოა და იმიტომ.

არადა, ეს კაცი მარტო როდია, ვინ იცის, რამდენი გუბაზი და გუბაზეული გვყავს ეკრანზე და ეკრანს მიღმა! რამდენი თავზეხელაღებული „პატრიოტი“ გვიბურღავს ტვინს ყოველდღე, იმის მაგიერ, რომ საქმეს ეწიოს და ლაპარაკის ნაცვლად რამე აკეთოს, მართლა სასარგებლო და მისაბაძი!

2019 წელმა კი ყველა ერთ ხმის მქნევლის ჯიბურზე შემოაბიჯა და რაღაც სიახლის დანერგვას გვპირდება. იქნებ, ჩვენც შევეწყობთ ხელი ამ დაპირების შესრულებას? დაუსრულებელ ლაქლაქს უთუოდ აჯობებს!..

სანდრო ალექსიძე

© წიკაურტაზი – საჩუქრად!

## ქალბატონი ზურაბიშვილი პრეზიდენტია!

ვულოსავთ, გაბონ ლეანას, ბოლიში, მანასა ბარკენიშვილს!



ბარამ თავიდანვე დავაზუსტოთ, „ბატონ ლევანა“-ში, მხოლოდ და მხოლოდ ლევან ბერძენიშვილი იგულისხმება, და გვარიანად გამოცდილი დისიდენტი, ცნობილი პოლიტიკოსი, ხოლო, თუ რის გამო ვულოცავთ ქალბატონი სალომეს გაპრეზიდენტებას, ქვემოთ მოგახსენებთ.

ის არქი-პარადოქსული ფაქტი (თუ ნონსენსური არა!) ფაქტი Господин ვაშაძე ამომრჩეველთა 60 პროცენტით არჩეული პრეზიდენტის ლეგიტიმაციას He признаёт, ძალიან ნააგავს ენაკვიმატი გურული ყაძახის ფრაზას, ბოლოშეგასტყვია რომ ააცილა და გაფრენილს მიაძახა: იფრინე, რამდენიც გენებოს, ჩემი ხელიდან მაინც ვკვტარი ხარო... მოგხსენებთ, წინასაარჩევნო კამპანიის დროს, რა ინდი-

ფერენტული პოზიცია ეკავათ ძმებ ბერძენიშვილებს და ეს მაშინ, როცა, თუ სადმე ნამუსი და სამართალია, მომეტებულად ბატონ ლევანას, ნამდვილად უნდა გამოეყო თავი უპარტიო კანდიდატის მხარდასაჭერად. ასეთი პროგნოზის საფუძველი კი ნამდვილად გვექონდა მისი იმ განცხადების გამო, რომელიც მან, არც მეტი, არც ნაკლები, ჯერ კიდევ ამ ცამეტი

წლის წინათ გააკეთა პოპულარულ გაზეთ „ასავალ-დასავალში“ (2005, №47): „სალომე ზურაბიშვილი – ძლიერი ქალბატონი, პრინციპული, გამორჩეული პროფესიონალია. დიპლომატიურ ასპარეზზე მის უნარსა და ნიჭს აფასებდნენ, ახლა იგი საზოგადოებრივ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში და შესანიშნავი ლიდერი აღმოჩნდა. თავის ხალხზე, საქართველოზე გულმხურვალედ შეყვარებულია. სურს, თავის სამშობლოს დიდ ევროპულ ოჯახში ღირსეული ადგილი ჰქონდეს და ამისთვის იბრძვის. დარწმუნებული ვარ, რომ წარმატებას მიაღწევს“.

და აი, მას შემდეგ, რაც მისი ქირომანტული წინასწარმეტყველება გამართლდა, იმედი გაჩნდა, რომ უმაღლე გააკეთებდა კიდევ ერთ განცხადებას, რათა ფრთხილად ყოფილიყვნენ მისი პროგნოზების შეფასებისას, რომ მას უტყყური ალლო აქვს და ა.შ. მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, თავისივე ცამეტი წლის წინანდელი შეფასება თავდაყირა დააყენა. ამას ჩვენებურად ტვინის გადაბრუნება ჰქვია. ასე გადაიქცა ლევანა იმ ცნობილ მანასედ, რომელიც როგორც დასჭირდება, ხან ისეა და ხან ასე... **გიორგ ზარნაძე**

## პარლამენტის ბოლო დღე ქუთაისში

– დღეს გვექონდა ბოლო სამუშაო დღე ქუთაისში, რაც ძალიან სამწუხაროა, ალბათ, თითოეული ჩვენგანისთვის. ნამდვილად შეგვიყვარა თავი ამ ქალაქმა და ძალიან გულდასაწყვეტია, რომ ვტოვებთ სამუშაო პროცესს ქუთაისში, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ რიგგარეშე სესიის დახურვისას განაცხადა.



ირაკლი კობახიძემ საქართველოს პარლამენტის მანდატურის სამსახურს შესრულებული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა.

## ლეან მურუსიძე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ უპალოდ დაინიშნა

ლეან მურუსიძის საბჭოს 11-მა წევრმა მისცა ხმა. მურუსიძისთან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების გასაუბრება გუშინ ჩატარდა. ერთი წევრის ხმა გაბათილდა, ხოლო ორი წინააღმდეგი იყო. წინააღმდეგ მისცეს ხმა არამოსამართლე წევრებმა – ნაზი ჯანუაშვილმა და ირმა გელაშვილმა, ანა დოლიძემ კი გააბათილა ბიულეტენი, რადგან უკანონოდ მიიჩნევა ამ პროცესს.



ლეან მურუსიძე მანამდეც სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე იყო, თუმცა, არა უვადოდ დანიშნული. წარსულში ის უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ იყო, ასევე – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი.

# ბარათი მტერს ვუყენებთ თვალს და უიბნით - მოუპარეს!



სად ძვირ კომუნალურ გადასახადებზე თუ იმაზე, რომ პენსიონერს წამალი ვერ უყვია...

და ეს ყველაფერი იმ სამარცხვინო ფონზე, რომ ხელისუფალთა გაუმადლობას არ დაადგა საშველი - იმას, რასაც ნაცების ზეობის დროს პრემიები ერქვა, ქოცებმა ვირეშმაკულად უწოდეს ე.წ. სახელფასო დანამატები და ახლა ამ ახალი ფორმით, მაგრამ ძველებური შინაარსით ათასობით ლარს შეხმატებულად იჯობავენ ქოც-ნაცებად წოდებული ბიუჯეტის ვირთხები - ეეჰ, მართლაც, "რა გითხრათ? რით გაგახაროთ?"

თუმცა, გაჭირვებული ქართველი კაცის „გასახარებელს“ მართლაც რა გამოლევს ნატო-ვეროკავშირის სამოთხისკენ მიმავალ საქართველოში? და ჟარგონით თუ ვიტყვით, სწორედ ამავე ოპერტიდან იყო პრეზიდენტის ინაუგურაცია თელავში და მშიერ-მწყურვალთა არმიას უპირველესად აინტერესებს, თუ რამდენი მილიონი ლარი დაჯდა პრეზიდენტის ინაუგურაციად წოდებული პოლიტიკური კლოუნადა, შაბიტოს ცირკი, ქოც-ნაცთა „დამსახურებულ“ კლოუნთა შესრულებით და აქედან უმარტივესი არითმეტიკული კითხვა ხელისუფლებას - რამდენი ათასი გაჭირვებულის დახმარება შეიძლებოდა იმ თანხით?..

იმავის თქმა საახალწლოდ პომპეზურად გაჩნახანებული თბილისზე და საზეიმოდ ანთებულ ნაძვის ხეზედაც შეიძლება და ახლა თითქოს მესმის მავანთა უკმაყოფილო ბუზღუნა - ცხოვრება გრძელდება, თავისი მოითხოვს და რა ვქნათ ალარც ახალი წელი ვიზეიმოთ, ალარც ქორწილები გადავიხადოთ და „ალარც, ალარც და უამრავი კიდევ ალარც“...

როგორც იტყვიან, ვინ მამაძალი, მაგას ვინ ამბობს, მაგრამ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო!

პრეზიდენტის ინაუგურაციის ხარჯებისა არ იყოს, ქალაქის მერი და საქართველოს პრემიერი, როდესაც იმ ნაძვისხეს ანთებდნენ, იმაზე დაემატებულან, თუ რამდენი ათასი ბავშვის დაპურება შეიძლებოდა იმ თანხით, რაც ყოველ წელიწადს ახალ-ახალი განათების ჩამოტანა უჯდება ბიუჯეტს. დიახ, დაპურება, რადგანაც საქართველოში ათასობით ბავშვს არ ეახალწლება, რადგანაც მათ ელემენტალურად შიათ! არადა, მხოლოდ ბავშვებს კი არა, საქართველოს დღევანდელი გაჩნია იმის რესურსი, რომ ამ მაღლიან ქვეყანაში დიდპატარას არავის შიოდეს და სციოდეს, არავინ იყოს მიუსაფარი!

სხვა შემთხვევაში, განათებულ-გაჩახჩახებული თბილისიცა და პომპეზური ნაძვისხეც იმას ჰგავს, ჩვენში რომ იტყვიან - გარედან მტერს უყენებს თვალს და შინ მოყვარესო!

დიახ, სანამდე საქართველოში თუნდაც მხოლოდ ერთი ბავშვი იქნება მშიერ-მწყურვალნი, პომპეზური ზეიმების გამართვის არავითარი მორალური უფლება არა აქვს ერსა და ბერს, მითუმეტეს ხელისუფლებას!

ამიტომ მოკრძალებითა და უკეთესის იმედით, ახალ წელს გილოცავ „ჩემო კარგო ქვეყანავ“...



დავით მხეიძე

საქართველომ, უკვე სსრკ-ის შემადგენლობაში, არა თუ დე ფაქტო კულტურული ავტონომია მიიღო, არამედ საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსით, ტერიტორიული მთლიანობაც აღიდგინა და რაც, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობამ, 1990 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით 5.5 მილიონს გადააჭარბა და თეთრვარდელი გენერლებისა არ იყოს, არა მგონია, რომ ეს ფაქტები საქართველოს უგვირგვინო მეფეს, მხოლოდ წითელი ფერის გამო დაუნუნებინა კი არადა, მაშინ ცოცხალი რომ ყოფილიყო, კიდევ ერთხელ დაწერდა ბრწყინვალე პუბლიცისტურ წერილს, „ასის წლის წინათ“, რომელიც ილია მართალმა 1899 წელს დაწერა და რომელიც თბილისში რუსის ჯარის პირველად შემოსვლიდან 100 წლისთავის საიუბილეო თარიღს მიუძღვნა!..

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იმ დროს, როდესაც დიდ ილია „საახალწლო მილოცვის“ წერილს წერდა, ერთი რამ მართლაც გვეკონდა მოსალოცი - დღევანდელისგან განსხვავებით საქართველოში თითქმის არავინ იყო მშიერ-მწყურვალნი, შიშველ-ტიტველი, არავის არ სციოდა. ერთი სიტყვით, დღევანდელი ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, თითქმის არავინ იყო სოციალურად დაუცველი...

დღეს კი, ნორმალურ ადამიანს ქუჩაში გაველა უჭირს, რადგანაც გული ეთანადრება იმაზე, რომ ერთ დროს სინათლის, სიკეთის, სიყვარულის ქალაქად წოდებული თბილისი, დღეს მათხოვართა ქალაქად ქცეულა. ეს, რაც ზედაპირზე ჩანს და რაც არა, თვალსაჩინოა, ასიათასობით ქართველია რეგისტრირებული, როგორც ე.წ. სოციალურად დაუცველი. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, მშიერ-მწყურვალნი, შიშველ-ტიტველი, უსახლკარო-მიუსაფარი; ასეთი კატეგორიის მოსახლეობისთვის მხოლოდ პურია ერთადერთი ძირითადი საკვები; ის ბიბლიური „პური არსობისა“, რომელიც ასე უნამუსოდ გააძვირა ხელისუფლებამ; აღარაფერს ვიტყვით გაუსაძლი-

**P. S.**  
რიითიც დავიწყეთ, იმით დამთავრება უპრიანი მგონია, ანუ ისევ დიდი ილია:  
„არ ვიცით - რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ - რანი ვართ, ვერ გამოგვისახია - რანი ვიქნებით. ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან, გადავიჩხებთ დედაბუდიანად.  
ახალი წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდან ბამბა გამოგვატალე, გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცო ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვს: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“

1887 წ. 31 დეკემბერი

„ბბ, ერთი კიდევ ახალი წელიწადი... რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართველო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მივიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ ან დანანებით ვთქვათ: „ჰოი, წამო სიხარულისავე, ესე სწრაფად სად წახვედნი“ წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილსავე დაგვრჩეს, ან ნატვრით ვთქვათ: „მოვიდინ, დღეო სიხარულისაო!“ რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“

ეს გახლავთ პირველი აბზაცი, გნებავთ პროლოგი, ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილისა - „რა გითხრათ? რით გაგახაროთ“, რომელიც 1897 წლის 31 დეკემბერს საახალწლო „მილოცვად“ მიართვა მშობელ ქართველ ერს დიდმა ილიამ!..

თუ რატომ წინწკლებში სიტყვა „მილოცვა“, ამის ახსნა მეტ-ნაკლებად ერთდორებული მკითხველისთვის, ვფიქრობთ, საჭირო არ არის, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის მაინც კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ:

„ბედნიერი ერის“, „კაცია-ადამიანის“ და ა.შ. მშობელი ქართველი ერის ნაკლოვანებათა სხვა მრავალი მაჩვენებელი ნაწარმოებების ავტორისთვის, არ არსებობდა ისეთი „დრო და ამინდი“, რის გამოც თუნდაც მწარე სიმათლის თქმას მოერიდებოდა, მაშინ ქართველი ერის მიერ საქართველოს უგვირგვინო მეფედ წოდებული, ხოლო 1987 წელს, ან და მარადის, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდა ილია მართლად შერაცხილი, თავადი ილია ჭავჭავაძე.

ჰოდა, აქედან გამომდინარე, საუკუნეზე მეტი ხნის წინანდელი, „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“, ილიას გადმოსახედიდან სამგლოვიარო ნეკროლოგი უფროა, ვიდრე საზეიმო მილოცვა, მაგრამ, როგორც იტყვიან, თურმე ჯერ სადა ხარო - დღეს საქართველოში გაცილებით უფრო მძიმე ვითარებაა, ვიდრე ილიასეულ საქართველოში იყო და ეს რომ ასეა, ამის ცხადყოფას „ურწმუნო თომებისთვის“ ქვემოთ შევცდებით ძირითადად ილიასეულ და ბიძინასეულ საქართველოებს შორის გავლებული პარალელების საშუალებით...

„სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“. ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება“ - სიმწრით მოთქვამდა დიდი ილია საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ზემოთ ხსენებულ საახალწლო „მილოცვაში“...

ნაცნობი სურათია, არა? ნაცნობიც და ამავე დროს უცნობიც, რადგანაც, თუ ილიასეულ საქართველოში ქართველთა არგახარება ძირითადად ჩვენი მარადისი გულარხეილობის, გნებავთ, დავრდიმანდობის შედეგი იყო, დღეს იმავე ამოცანის გადაჭრას წარმატებით ემსახურება ჩვენი დასავლეთელი „მეგობრების“ სატელიტი საქართველოს ხელისუფლება და მათთან ალიანსში მყოფი ე.წ. მესამე, არასამთავრობო სექტორი, რომლებიც ყბადალებული ადამიანის უფლებების დაცვის კომუფლაჟით, ყველას და ყველაფერს იცავენ საქართველოში, ქართველი ერის უფლებების გარდა - უმოწყალოდ იყიდება ქართული მიწები ძირითადად ირანელ-ოსმალოებზე, ანუ იმათზე, ვისაც საუკუნეების განმავლობაში ხმლით იგერიებდა ქართველი კაცი; ემანდ ქსენოფობია არ დაგვწამონო და ათასი ჯურის უკონტროლო მიგრანტებმა ლამის წალეკეს საქართველო, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ასე გაგრძელდა, უახლოეს მომავალში საქართველოში ქართველი ერი ეროვნული უმცირესობა გახდება! ახლა მავანი დამამუნათებს, ქართული მიწები ილიასეულ საქართველოშიც იყიდებოდა უცხოტომელებზეო და ერთი შეხედვით საფუძვლიანადაც, მაგრამ ჯერ ერთი ის უცხოტომელები, არც თუ ისე უცხონი, ძირითადად ჩვენი მოძმე სომხები იყვნენ, ეს ერთი; მეორეც, ილიას მიერვე დაარსებული ე.წ. საადგილმამულო ბანკის მეშვეობით უკვე დანყე-

ბული იყო გაყიდულის გამოსყიდვისა და გაუყიდავის გაყიდვის შეჩერების პროცესი და ყველაზე მთავარი - საქართველოს მენშევიკურმა ხელისუფლებამ, რაც 3 წლის მანძილზე ვერ თუ არ შეძლო, 1921 წელს საქართველოს გასაბჭოებისთანავე, ერთ-ერთი პირველი, რაც ბოლშევიკებმა გააკეთეს, ის იყო, რომ საქართველოს ე.წ. რევკომმა სპეციალური დეკრეტი გამოსცა, რომლის ძალითაც, ქართული მიწები სახელმწიფოს, ანუ, ქართველი ხალხის საკუთრებად გამოცხადდა!

სიტყვამ მოიტანა და კიდევ ერთი პარალელი, მცირე ისტორიული ექსკურსის გავლით. უფრო სწორედ პარალელები, ერთი მხრივ, მეფის რუსეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის და, მეორე მხრივ, პარალელი ილიასეულ, გნებავთ ცარიისტულ საქართველოს და საბჭოთა საქართველოს შორის:

1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, რუსეთის ხელისუფლებაში ლენინი-ტროცკის მასონი სიონისტები მოვიდნენ, რომელთა მიზანი რუსეთის მართლმადიდებელი იმპერიის დაშლა და ნაწილ-ნაწილ გაყიდვა იყო და სწორედ ამ მიზნის საწინააღმდეგოდ გაჩაღდა სამოქალაქო ომი ე.წ. წითლებსა და თეთრებს შორის, რომელიც წითლების გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსეთის იმპერია დაიშალა კი არა, დიდმა სტალინმა ჯერ მასონი ტროცკისტი გაანადგურა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შედეგად რუსეთის, ამჯერად წითელმა იმპერიამ ისეთ სიდიდესა და სამხედრო ძლევამოსილებას მიაღწია, როგორც რუსეთის არც ერთ მონარქს არ დასიზმრებია!

სწორედ ამიტომ, ემიგრაციაში მყოფმა თეთრგვარდიელმა გენერლებმა (დენიკინმა, ვრანგელმა, იუდენიჩმა და სხვებმა) და ოფიცრებმა, სიცოცხლის დღეი სტალინის ქება-დიდებაში გალიეს, რადგანაც მათთვის მთავარი იმპერიის ფერი კი არა, თავად რუსეთის ძლევამოსილი იმპერიის აღდგენა იყო!

თითქმის იგივე პარალელის გავლება ილიასეულ (ცარიისტულ) საქართველო-სა და საბჭოთა საქართველოს შორისაც შეიძლება - საქართველოს რუსეთთან შეერთების ფაქტმა, ქართველი ერის ფიზიკური განადგურებისგან გადაარჩინა და ეროვნული მენტალიტეტის, მართლმადიდებელი ქრისტიანობის შენარჩუნება ერთხელ და სამუდამოდ (?) უზრუნველყო!

ანუ, „მამული, ენა, სარწმუნოება“, რისთვისაც დიდი ილია მთელი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდა, მის სიცოცხლეშივე ხელშესახები ფაქტი გახდა და ერთადერთი, რისთვისაც იღვწოდა რუსეთის „დუმ“-ს დეპუტატი, ეს საქართველოსთვის კულტურული ავტონომიის მინიჭების სტატუსი იყო ისევე, როგორც ამ სტატუსს ფლობდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი პოლონეთი თუ ფინეთი...



# გურამ საღარაძე: დაე, ყველა იცოდეს, საიდან მოვედით, საით მივდივართ და როგორ უნდა გვიყვარდეს სამშობლო!

**დღეს ჩვენი სტუმარია ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი,**

**თბილისის საპატიო მოქალაქე გურამ საღარაძე. მასთან, უპირველესად, სპორტზე, ასევე, სიყვარულზე, მეგობრობაზე, რწმენაზე, პატიოსნებასა და პატრიოტიზმზე ვისაუბრებთ.**

**– ბატონო გურამ, როგორ მოვიდა სპორტი თქვენს ცხოვრებაში?**

– მართალია, თბილისში დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ წარმოშობით ამბროლაურის რაიონის სოფელ პატარა ონიდან ვარ. სპორტი ჩვენი ოჯახური ტრადიციაა – მამა და ბიძაჩემი ჭიდაობდნენ. უფროსებისადმი პატივისცემას, თავაზიანობასა და შრომას ბავშვობიდან მიმაჩვიეს. მშობლები მორწმუნეები იყვნენ. მასხოვს, ქრისტიანული ტრადიციების დაცვით როგორ ვვხდებოდით ამბროლაურში შობას და ძველი ახალ წელს, რამდენი სიბო და სიყვარული იყო მაშინ. ჭაბუკობისას ტანვარჯიშზე დავდიოდი, რაც შემდგომში ძალიან გამომადგა. ნამდვილ მოჭიდავედ მწვრთნელმა შალვა ნოზაძემ მაქცია. ყოველთვის მისი ერთგული ვიყავი და დღემდე მისი მაღლიერი ვარ.

ვერაზე ვცხოვრობდით. კარგად მასხოვს გასული საუკუნის 50-იანი წლები. ომის საშინელების მერე ქვეყანა ნელ-ნელა დგებოდა ფეხზე. ადამიანებს ერთმანეთისადმი დღევანდლისაგან სრულიად განსხვავებული ურთიერთობა ჰქონდათ, რწმენისა და ეროვნების მიუხედავად, ნრფელი გულით მეგობრობდნენ. სპორტად ვესწარბოდი იზიდიდები ქორწილებს. მართალია, გაიხად 21 მარტს 80 წელი შემისრულდება, მაგრამ დღესაც, მრავალი წლის შემდეგ, გუშინდელივით მასხოვს მათი სახეები და სახელები.

**– ვიცე, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდით...**

– დაიბ, ქიმიისა და კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე. შოკოლადის ფაბრიკა „მზიურში“ ვიმუშავე. საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა სფეროებშიც მოვხიზვე ძალები.

**– თქვენი შეგორდი დავით გობეჯიშვილი ოლიმპიური ჩემპიონია. რა იყო მისი წარმატების საიდუმლოება?**

– დავით გობეჯიშვილს მხოლოდ ხალიჩაზე როდი ვამეცადინებდი: ყოველდღიურად ბაგირზე ცოცვას, რგოლებითა და სახტუნაოთი ვარჯიშს ვაძიებდით. შრომისმოყვარე ყმაწვილი იყო, ძლიერი ნებისყოფის მქონე, მიზანსწრაფული და ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა.

**– ირანელთა კერბი – „მანანდარანელ ვეფხვი“ წოდებული შაბიბი დავიმარცხებიათ...**

– გასული საუკუნის 50-იანი წლებში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების კაპიტანი ვიყავი. მთავარი მწვრთნელი გვყავდა ალექსანდრ დიკინი, რომელიც ქართველებზე იყო შეყვარებული. ზოგიერთი ავისმოსურნე მას „კავკასიელთა ტყვეს“ ეძახდა, რადგან მაშინ საკავშირო ნაკრებში ბევრი ქართველი გამოდიოდა. 1961 წელს საბჭოთა კავშირში ცნობილი ირანელი მოჭიდავე იმამ ალი შაბიბი ჩამოვიდა. ქომაგებმა „მანანდარანელი ვეფხვი“ შეარქვეს თანამოსახელე ფილის ზეგავლენით, რადგან იმ კინოში მთავარ როლს ასრულებდა. ორთაბრძოლის წინ მაღალი წნევა და სიცხე მქონდა. ექიმმა ოფიციალურ საბუთზე მომანერინა ხელი, რომ რისკზე მივდიოდი და შედეგზეც თავად ვაგებდი პასუხს. იმ დღეს მაინც გავედი სარბიელზე და ვაჯობე შაბიბის, იმ დროის

ერთ-ერთ საუკეთესო ფალავანს. მაშინ ის გამბრუნდა კიდევ, რადგან ნაგება არ უყვარდა. თუმცა მერე დავმეგობრდით და დღემდე კარგი ურთიერთობა გვაქვს.

**– თქვენთვის ცხოვრებაში რა არის მთავარი?**  
– სიყვარული. ბუნებით ადამიანების მოყვარული პიროვნება ვარ და ჩემს გრძობებს არასდროს ვმაღავ. თუ ვინმეს ვერ ვიტან, რაც იშვიათობაა, ეს „ვილა“ ცუდი ადამიანია და რეალურად დიდი დანაშაული მიუძღვის. ვცდილობ, არავის ვანყენინო, ვინმეს გრძობები არ შევუღაბო, დავესმარო ადამიანებს მძიმე წუთებში. ჩვენი პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი სპირადა ამბობს, რომ ყველა მორწმუნემ წყალი უნდა მიანოდოს მწყურვალს. ყველა მისი სიტყვისა მწამს და ვაცნობიერებ, რომ დღეს ჩვენ მისი გვიდგას სული. პატიოსნება, პატივისცემა, სიბო, ურთიერთთანადგობა, ერთმანეთისადმი ზრუნვა – აი, რა არის მთავარი ცხოვრებაში. სპორტი კი, როგორც ხელოვნება, მსოფლიოს ხალხთა გამაერთიანებელი რგოლია.

**– ნიგნების წერას განაგრძობთ?**

– ჩემი მეგობარი, ჟურნალისტი თენგიზ გაჩეილაძე გაზეთ „ლელოს“ რედაქტორი იყო. ამ გაზეთში სპორტზე, მოჭიდავეებზე სპორტად ვებეჭადვდი ნერილებს. ერთხელ საუბრისას მან მითხრა, რომ მწერლური ნიჭი მაქვს და მოგონებებს ხომ არ დანერდო. ნიგნებს 1970 წლიდან ვებეჭადვ. ახლა მეოთხე ნიგნს ვამთავრებ. არა მარტო სპორტზე ვწერ. მკითხველებს მოსაზრებებსა და შთაბეჭდილებებს ვუზიარებ რელიგიურ, ისტორიულ, ჩემთვის მთავარია, ახალგაზრდობამ იცოდეს, საიდან მოვიდვართ, საით მივდივართ, როგორ უნდა გვიყვარდეს სამშობლო და როგორ უნდა ვემსახუროთ მას.

**– მოგვიყვით, თუ შეიძლება, ტოკიოს ოლიმპიადებზე ცნობილია, რომ იმ თამაშებზე თქვენ ჩემპიონი უნდა გამხდარიყავით, მაგრამ მხოლოდ მეორე ადგილზე გასვენდით. როგორ მოხდა ეს?**

– მას შემდეგ, რაც 1963 წელს სოფიაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდეთ, გავიდა ერთი წელი და საბჭოეთის მოჭიდავეთა ნაკრები ტოკიოში ოლიმპიურ თამაშებზე გამგზავრა. შენაწინაშე კონდიციებში ვიყავი, მაგრამ პირველივე ორთაბრძოლისას უცნაურ ვითარებას წავანყდი: ინდოელ მოჭიდავე მახავრია სინგხთან 25 ქულას ვიგებდი და მეტოქე თითქმის ბეჭებზე მყავდა დანვინილი, არბიტრმა შემაჩერა – გაუშვიო, მითხრა. ამ დროს ტრიბუნიდან ბიჭები მიყვიროდნენ, არ გაუშვიო. მოგვიანებით გავიგე, რომ ეს მსაჯი მოსყიდული ჰყოლიათ და ქულებით მოგებისთვის საჯაროობა მომცეს, რამაც ფინალში თურქ ისმაილ ოგანთან შეხვედრისას გადამწყვეტი როლი შეასრულა.

თურქებს ჭიდაობისადმი თავისებური მიდგომა აქვთ: სარბიელზე ნელზემთ გახდებილები გამოდიან, თან ისეთი ცხიმი აქვთ წასმული, გარეგნულად რომ არ ეჩვენება. ჭიდაობისას მსაჯებს პაექრობა ორჯერ გავაჩერებინე, რადგან გაოფლიანებულ მეტოქეს ხელს ვერ ვადებდი, მისრიალებდა. ეს შეხვედრა ფრედ დასრულდა და აქ ითამაშა თავისი უარყოფითი როლი იმ საჯაროობა ქულამ. შემდეგ ორივე აგვინეს. თურქი ჩემზე 400 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა და ოქროს

მედალიც მას ერგო, მე კი ვერცხლის მედლით დავკმაყოფილდი. მეგობრებმა – ეროსი მანჯგალაძემ და დოდო აბაშიძემ თბილისიდან დეპუტა გამომიგზავნეს: „ძვირფასო გურამ, მალე დავგიბრუნდით. შენი ვერცხლი ყველა ოქროს გვირგვინია!“ არასდროს დამავინყდება ერთი ეპიზოდიც: ერთი გულშემატკივარი, გვარად – მიქელაძე, გადამეხვია და მითხრა, ავსტრალიიდან ტოკიოში სპეციალურად ჩამოვფრინდი, რომ შენი ორთაბრძოლები მენახა და მექომაგაო. ვერცხლის მედალი მომილოცა და, ნამდვილი ჩემპიონი შენ ხარო, დაამატა. ის თავისი ქვეყნის პატრიოტი იყო. მისი სახე დღემდე მასხოვს.

**– თავისუფალ დროს როგორ ისვენებ?**

– უწინ ნადირობით ვერთობოდი. ჩემს მეგობარ გოგი თოფაძესთან ერთად დავდიოდი მწყურზე ან ტახებზე სანადიროდ, მაგრამ ეს თვითმიზანი არ ყოფილა. ჩვენ საქართველოს საოცარი ბუნების სილამაზით ვტყებოდით. როგორც ხატოვნად ამბობენ, „აქ ცა და დედა მინა ერთდებდა“.

**– თანამედროვე ქართული სპორტის მდგომარეობაზე რას იტყვით?**

– ამჟამად ვეჭვრან მოჭიდავეთა კავშირს ვხელმძღვანელობ. მყავს შეგირდები და ჯერ კიდევ შემძლია, ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდა მოჭიდავეებსა და მწვრთნელებს გაეუზიარო. დღევანდელი ჩემი მთავარი მიზანი ფიზიკულურულ-სპორტული კლუბ „დინამოს“ რეაბილიტაციაა, რადგან კარგი ბიჭები გყავს, მაგრამ პირობები უფარვლია. ფალავანთა კლუბიც გვაქვს, თუმცა, მის დახურვას ცდილობენ. ყველამ იცოდეს, სანამ ცოცხალი ვარ, ამის უფლებას არავის მივცემ. აუცილებელია ძველის აღდგენა და ახალი დარბაზების აშენება. ძალიან მინდა, რომ ჭიდაობის აკადემია გექმნდეს. ვფიქრობ, დროა, ქვეყანაში სპორტს მეტი გასაქანი მივცეს. სასიამოვნოა, რომ ამ საქმით ქვეყნის პრემიერია დაინტერესებული.

ჩვენ გვყავდა შესანიშნავი ფალავანი ვახტანგ ბალავაძე, მსოფლიოს ჩემპიონი, რომელიც მოგვიანებით საქართველოს ნაკრებს ავარჯიშებდა. „ჭიდაობის პროფესორი“ შეარქვეს. მან ჩემპიონობა იმით მოიპოვა, რომ ფეხს იყენებდა ვირტუოზულად, ისევე, როგორც ოლიმპიური ჩემპიონი მირიან ცალქალამანიძე, ფანდების მრავალფეროვნებას კი ქართული ჭიდაობა ასაზრდოებდა.

ეპ, როგორი მოჭიდავეები იყვენ! მინდა, რომ ჩვენმა მწვრთნელებმა ახალგაზრდებს ქართული ჭიდაობა ასწავლონ. ეს მათს საბრძოლო არსენალს გაამდიდრებს.

**– ბედნიერი ადამიანი ხართ?**

– ცხოვრებაში ბევრი სასიხარულოც შემხვედრია და სანყენიც, მწუხარებაც ბევრი გადამიტანია, უსამართლობაც და მწარე გამოცდაც. წლების განმავლობაში ბევრი რამ გამოცდად, დღეს კი ბედნიერი ადამიანი ვარ. არაჩვეულებრივი ოჯახი მყავს: შესანიშნავი მეუღლე, შვილები, შვილიშვილები. ჩემს ქალიშვილ ეკატერინეს ორი ვაჟი ჰყავს: ბიჭი ივანიშვილი პოეტია, რატი – მუსიკოსი. ვაჟიშვილს ტყუპები შეეძინა. ამით რომ ვუყურებ, როგორ შეიძლება, ბედნიერი არ ვიყო.

დღემდამის ზურგზე საუკეთესო მეგობრები მყავს. ხშირად სუფრასთან ვხვდებით ერთმანეთს, ვმღერით, ვერთობით, მიყვარს თამაშობა. აი, ასე სიყვარულში ვცხოვრობთ. უწინ ამ შეხვედრებს ხშირად ეროსი მანჯგალაძესა და გურამ ლორთქიფანიძესთან (ლორთქია) ვანყობდით. გურამი ჩემი მეზობელი იყო. საქეიფოდ საკუთარი გიტარით მივდიოდი. იქ მხვდებოდნენ სერგი და დავაძე, მურმან ლებანიძე, ტუპია იაშვილი, მიხეილ მესხი, ივიკო საყვარელიძე, ბიძინა კვერცხელიძე...

ზოგჯერ ნანი ბრეგვაძეც გვეწვევდა ხოლმე. ეს იყო დაუვიწყარი დრო. მუსიკა ჩემს ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობდა. ავილოთ, თუნდაც, ქართული „საჭიდაო“. ეს ხომ საოცრებაა, ენერგეტიკით სავსე, რომელიც მოქმედებისკენ გიბიძგებს. იმ დღეების ხიბლი და სიმღერების მაგიური ძალა დღემდე მომყვება.

მეგობართა შორის იყო ერთი ძვირფასი პიროვნება – საოპერო მომღერალი, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი ანტონ (ლელიკო) ჯაფარიძე. ცხოვრების ბოლომდე უსამართლობას ებრძოდა. ისეთ რამეებს ამბობდა, სხვებს მათი ხმაძალია წარმოთქმისა რომ ეშინოდათ. ასეთი ადამიანები განსაკუთრებით დღეს სჭირდება ქვეყანას. სამწუხაროდ, მათი რიცხვი დღითი დღე მცირდება, რაც ჩემზე ცუდად მოქმედებს.

**– კიდევ რა განუხებთ?**

– ჩვენს ცხოვრებაში ზოგ რამეს, რაც დამახინჯებულია ალბათ, შევცვლიდი. ვფიქრობ, რომ წმინდა გიორგი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ უნდა იყურებოდეს და არა – პირიქით. თუნდაც, დღევანდელი ქართული დროში ავილოთ: მასზე კათოლიკურ ჯვრებს ვხედავთ, არადა, მართლმადიდებლები ვართ. მოსვენებას არ მაძლევს მერაბ ბერძენიშვილის დავით აღმაშენებლის ძეგლი, რომელიც აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს უწინდელ ადგილს – რესპუბლიკის მოედანს.

საქართველოში ახლა თავისებური არმაგედონია – სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა. ყველა ამ ქოლს, როგორც ეძახიან, „ბარონი მიუნაუზენი“ – სააკაშვილი მართავს. ის ზოგჯერ სიცილს იწვევს, ზოგჯერ ფიქრობ, რომ ის ბოროტი ადამიანია, მისი თანამოაზრეები კი ანტიქრისტიანები არიან, რომლებიც ქვეყნის დამანგრეველ საქმიანობას არ ეშვებიან. ყველაფერზე წამსვლელი ეს ადამიანები, ფაქტობრივად, ანარქიას უწვევენ პროპაგანდას. სამწუხაროდ, ცოტა ვინმეს თუ აწუხებს ქვეყნისა და ხალხის ბედი, განსაკუთრებით – ინტელიგენციისა, რომელიც, როგორც ყოველთვის, ყველაზე მეტად ზარალდება. სად არიან ჩვენი სახელგანთქმული მეცნიერები ან ხელოვნების მოღვაწეები? ან უცხოეთში გადაბარდნენ, ან საერთოდ თვალთახევიდან გაქრნენ.

დღეს მე იმედით სავსე ვარ. ბოლოს და ბოლოს, პრეზიდენტის ტახტზე ავიდა ღირსეული პიროვნება სალომე ზურაბიშვილი. ვიმედოვნებ, რომ იგი ბიძინა ივანიშვილსა და ქვეყნის პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესთან, მთელ თავის გუნდთან ერთად ქვეყანასა და მოქალაქეებზე იზრუნებს. საქართველო ღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყანაა, უფლის რწმული. ბევრი განსაცდელი გამოვიარეთ და ახლა, ვფიქრობ, ღმერთი ზურგს არ შეგვაქცევს.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და სრულიად საქართველოს დამდეგი შობა-ახალი წელი მივულოცო. ერის ჯანის სიმრთელე, ხვავი და ბარაქა არ მოკლებოდეს ჩვენს ქვეყანას!

**ნიინ ჯაფარიძე**

2018 წლის 30 დეკემბერს მსოფლიო რანგის მეცნიერს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, ისტორიკოსთა მრავალი თაობის აღმზრდელს, საზოგადო მოღვაწეს, სახელმწიფო და აკადემიური პრემიების მრავალგზის ლაურეატს გიორგი მელიქიშვილს 100 წელი შეუსრულდებოდა.

გიორგი მელიქიშვილი თბილისში 1918 წლის 30 დეკემბერს დაიბადა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე პირველკურსელ გიორგი მელიქიშვილს ქართველ მეცნიერთა თანავარსკვლავედი დახვდა. მას ბედნიერება ჰქონდა, მოესმინა ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკოლოზ ბერძენიშვილის, ლევან მუსხელიშვილის, გიორგი გოზალიშვილის, გიორგი ჩიტაიას, გიორგი ნიორაძის, კოტე ბაქრაძის, მოსე გოგიბერიძის, იასე ცინცაძისა და სხვა ცნობილ მეცნიერთა ლექციები. 1939 წლის შემოდგომაზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის წარჩინების დიპლომით დამთავრებისთანავე, გიორგი მელიქიშვილი იმავე უმაღლესი სასწავლებლის ასპირანტურის პირველ კურსზე ჩაირიცხა სპეციალობით: „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ასპირანტურაში ბატონი გიორგის სამეცნიერო ხელმძღვანელები გიორგი წერეთელი და სიმონ ჯანაშია ბრძანდებოდნენ. გიორგი წერეთელი მას ასურულ-ბაბილონურ (აქადურ), ურარტულ, ძველ ებრაულ და არაბულ ენებში ამზადებდა, სიმონ ჯანაშიასთან კი საქართველოსა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კარდინალურ პრობლემებს ეუფლებოდა. ძველი ბერძნულის ცოდნას ბატონი გიორგი ს. ყაუხჩიშვილს უმაღლოდა, ხოლო გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენებისას – თ. ავილოვს. 1944 წლის გაზაფხულზე საკუთარი ხელით, უღამაზესი კალიგრაფიით გადაწერილი სადისერტაციო ნაშრომის „ურარტუს სამეფოს წარმოქმნა“ სამი ეგზემპლარი გიორგი მელიქიშვილმა თავის სამეცნიერო ხელმძღვანელს გიორგი წერეთელსა და ოფიციალურ ოპონენტებს (სიმონ ჯანაშიას და მაქსიმე ბერძენიშვილს წარმოუდგინა. ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ურთულეს პრობლემატიკაზე გიორგი მელიქიშვილის მიერ ჩატარებული კვლევები შედეგებმა სამეცნიერო საბჭოს წევრთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. სამეცნიერო საბჭომ მას ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი ერთსულგანად მიანიჭა.

1944 წელს, ასპირანტურის კურსის დამთავრებისთანავე, აკადემიკოს ს. ჯანაშიას თაოსნობით გიორგი მელიქიშვილი მუშაობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში იწყებს. 1944 წლიდან უმცროსი, შემდეგ უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ხოლო 1953 ივლისიდან 1961 წლის ივლისამდე – ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის მოადგილე სამეცნიერო დარგში. 1954-1961 წლებშივე გიორგი მელიქიშვილი ინსტიტუტში თავისივე დაარსებული ძველი ისტორიის განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი იყო და ინსტიტუტის ყოველმხრივ წარმატებულ ამ განყოფილებას 1999 წლამდე ურყევ ბურჯად ედგა.

გიორგი მელიქიშვილი 1960 წელს ერთხმად აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, ხოლო 1967-1971 წ.წ. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნად, ხოლო 1988 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად.

აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1965 წლის 6 ნოემბერს გიორგი მელიქიშვილი ერთხმად აირჩიეს ინსტიტუტის დირექტორად. ამ თანამდებობაზე მან 1965 წლიდან 1999 წლამდე იღვანა. ისტორიული მეცნიერებისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წინაშე დიდი დამსახურებისათვის აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი ინსტიტუტის საპატიო დირექტორად დაინიშნა.

გიორგი მელიქიშვილმა ურარტოლოგიას განვითარების ახალი პერსპექტივები გადაუშალა და სამეცნიერო საზოგადოების წინაშე არაერთი ახალი დებულების შემცველი საყურადღებო სამეცნიერო ნაშრომით წარსდგა, რომელთაც ბატონი გიორგის საყოველთაო აღიარება მოუპოვეს და მსოფლიო აღმოსავლეთმცოდნეობაში ღირსეული ადგილი დაუმკვიდრეს. „Вестник древней истории“-ს 1953 წლის № 1, 2, 3, 4 და 1954 წლის №1-ში ბატონი გიორგის „Урартские клинообразные надписи“, ხოლო 1954 წელს თბილისში მისი ფუნდამენტური მონოგრაფია „Древневосточные материалы по истории народов Закавказья, I Наири-Урарту“ გამოქვეყნდა. ურარტული ლურსმული წარწერების მელიქიშვილისეული კორპუსი სპეციალისტებს იმ დროისათვის ცნობილი უკლებლივ ყველა ურარტული წარწერის ტრანსლიტერაციას, რუსულ თარგმანს, კომენტარებს, ურარტული ენის გრამატიკას და საძიებლებს სთავაზობდა, რის გამოც ქართველი მეცნიერის ნამუშევარი მსოფლიო ურარტოლოგიის უდიდეს მიღწევად შეფასდა.



# ფასდაუდებელი წვლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში

გიორგი მელიქიშვილი - 100

კიდევ უფრო დიდი მოწონება და აღიარება ხვდა წილად „Урартские клинообразные надписи“-ს წიგნად გამოცემას, 1960 წელს მოსკოვში. ეს ფუნდამენტური ნაშრომი, რომელსაც მაშინ ანალოგი არ მოეპოვებოდა, იმ დროისათვის ცნობილ 500-მდე ურარტულ ეპიგრაფიკულ ძეგლსაც გვაცნობდა და ურარტული გრამატიკის საიდუმლოებათა ამოხსნის წარმატებულ შედეგებსაც გვაზიარებდა. ფასდაუდებელია „კორპუსისათვის“ დართული ურარტული ენის ლექსიკონი, რომელიც ყველა ურარტული სიტყვის, საკუთარი სახელისა და იდეოგრამა-დეტერმინანტების სიმფონიას წარმოადგენს. ბატონ გიორგიმდე ამ მასშტაბის და ამ ხარისხის სამუშაო არც ჩვენში და არც ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ არავის ჰქონია შესრულებული. ცნობილმა იტალიელმა ურარტოლოგმა მარო სალვინიმ ამ გამოცემას „ურარტოლოგთა ბიბლია“ უწოდა. 1954 წელს „Урартские клинообразные надписи“-ს და „Наири-Урарту“-ს საფუძველზე შექმნილი სადისერტაციო ნაშრომისათვის მას ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. ოპონირებას დისერტანტს აღმოსავლეთმცოდნეობის თვალსაჩინო წარმომადგენლები ( ვ. სტრუვე, ნ. მეშჩანინოვი და ბ. პოტროვსკი უწევდნენ. დაცვამ ბრწყინვალედ ჩაიარა და აშკარა იყო, რომ ამიერიდან ურარტოლოგიის საერთაშორისო ცენტრი ბინას საქართველოში დაიდებდა.

ნაშრომებისათვის „Урартские клинообразные надписи“-ს და „Наири-Урарту“, ლენინური პრემიის დაარსების პირველივე, 1957 წელს, 39 წლის გიორგი მელიქიშვილმა, საბჭოთა ისტორიკოსებს შორის პირველმა, დაიმსახურა ქვეყნის ეს უმაღლესი ჯილდო.

ძველალმოსავლური ძიებანი გიორგი მელიქიშვილს არც XX საუკუნის 60-80-იან წლებში შეუწყვეტია. ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ გამოცემებში მან ძველალმოსავლური პრობლემატიკისადმი მიძღვნილი არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი გამოსცა.

მთელი სისრულით მაინც მის ორ გამოკვლევაში ჩამოყალიბებული. ესენია: „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის“ და „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომში შესული, მისი ავტორობითვე შესრულებული გამოკვლევა: „ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი“.

ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-იან წლებში გიორგი მელიქიშვილმა დიდი ინტერესი გამოიჩინა საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის პრობლემის მიმართ, რაც 1958 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში: „საქართველოს კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის“ აისახა. აღნიშნული პრობლემის სიღრმისეულ ანალიზს შემდგომშიც არაერთი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა. უკვე 1958 წელს მან დიდი შრომა გასწია ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის დასადგენად. მეცნიერმა მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ძველი ქართლის (იბერიის) ისტორიის ქრონოლოგიაში. გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, ე. წ. „აზიური წესის“ რაობის პრობლემასთან დაკავშირებით, მიმდინარეობდა დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით ბატონმა გიორგი მელიქიშვილმა საკუთარი, სრულიად ახალი კონცეფცია წარმოადგინა როგორც კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტადიალური კლასიფიკაციის, ასევე ძველალმოსავლურ და ანტიკურ საზოგადოებაში საკუთრების ფორმებისა და კლასობრივი სტრუქტურის ურთულესი პრობლემის შესახებ.

XX საუკუნის 50-90-იან წლებში ბატონმა გიორგიმ საზოგადოებას საქართველოს სოციალ-ეკონომიკური წყობილების რაობის შესახებ საკუთარი ხედვაც არაერთგზის გააცნო. მელიქიშვილისეული ახალი თვალსაზრისი თავდაპირველად მის კაპიტალურ მონოგრაფიაში „К истории древней Грузии“ აისახა (1954). 1979 წელს წერილობითი წყაროებისა და XIX-XX საუკუნეებში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის ერთობლიობაში გააზრების გზით, გიორგი მელიქიშვილმა ნაშრომში: „ქართველ მთიელთა სოციალ-ეკონომიკური დახასიათებისათვის“ ქართველ მთიელთა სოციალ-ეკონომიკური წყობის განვითარების საკუთარი ხედვა წარმოადგინა.

მონოგრაფიაში: „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალური ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი“ (თბილისი, 1973) ავტორმა სრულყოფილად წარმოაჩინა ცალკეული ქართული პოლიტიკური გაერთიანებების როლი და ადგილი. ამასთანავე, ჩამოყალიბა საკუთარი კონცეფცია ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში ფეოდალური ურთიერთობათა განვითარებისა და ერთიანი ქართველი „ფეოდალური ხალხის“ გენეზისის პრობლემების შესახებ. ამ მიმართულებით გიორგი მელიქიშვილის მიერ განხორციელებული შრომატევადი ძიებები წარმატებულად აღმოჩნდა. მისმა ზემოხსენებულმა მონოგრაფიამ 1976 წელს ყოველი ქართველი ისტორიკოსისათვის სანუკვარი ჯილდო – აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია დაიმსახურა.

ბატონი გიორგი არაერთი კოლექტიური ნაშრომის გამოცემის ინიციატორი, ავტორი და რედაქტორი გახლდათ. ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია, პირველობა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომულს ეკუთვნის, რომლის გამოცემა გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო და საქართველოს ისტორიის უძველესი დროიდან XX საუკუნის 80-იან წლებამდე სრულად ასახავს. ქართულ ისტორიოგრაფიაში „ნარკვევებს“ ანალოგი ჯერჯერობით არ მოეპოვება. 1982 წელს ამ შესანიშნავი გამოცემისათვის გიორგი მელიქიშვილს, ქართველ ისტორიკოსთა ჯგუფთან ერთად, საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

გიორგი მელიქიშვილმა ქართული მეცნიერების მიღწევები საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად გაიტანა. იგი მეცნიერთა არაერთი საკავშირო და საერთაშორისო ფორუმის მონაწილე გახლდა; ახალი კონცეფციებითა და ჰიპოთეზებით გაჯერებული მელიქიშვილისეული მოხსენებები, როგორც წესი, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე უმაღლეს ქვეყნდებოდა და სამეცნიერო წრეების განსაკუთრებულ ინტერესსა და მაღალ შეფასებას იმსახურებდა.

1944 წლიდან მოყოლებული, მრავალი წლის მანძილზე, იგი ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, ფილოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტებზე, სადაც სხვადასხვა ჰუმანიტარულ სასწავლო დისციპლინებში ლექციებს წარმატებით კითხულობდა.

2010 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის სახელობის პრემია დააარსა. გიორგი მელიქიშვილმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული საისტორიო მეცნიერების აღმავლობაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

პროპაგანდა

# ბედნიერება, იყო საბაბალითო!

**ჩემთვის პატივია, ამ გაზეთის მეშვეობით საზოგადოებას ვაუწყო ერთი პატიოსანი, თავმდაბალი ადამიანის შესახებ, რომელმაც მთელი თავისი განვლილი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ქვემარტივი ადამიანური ფასეულობებით განსაზღვრა და აღზევდა თითოეული თავისი ქმედება.**

ეს გახლავთ პატიოსანი **უშანგი დალალიშვილი**, რომელმაც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ ცხოვრების დასაწყისშივე შეუდრეკელი რწმენის ხარჯზე განსაზღვრა თავისი ოჯახის მომავალი, გადალახა მრავალი ცხოვრებისეული დაბრკოლება და მხოლოდ საკუთარი ნიჭით, ინტელექტით და შესაძლებლობებით აჩვენა ბრწყინვალე მაგალითი, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი!

ჯერ მხოლოდ ხუთი წლის იყო უშანგი, როდესაც ხარაგაულის რაიონის მაღალმთიანი სოფლის – ნუნისის იმერული მოსახლეობა 1944 წელს ჩამოასახლეს ახალციხის რაიონში. თავიანთი სურვილის შესაბამისად, დალალიშვილები სოფელ სვირში დასახლდნენ. მათ მალე აუღეს ალლო ახალ გარემოს, ხალხს, მიწა-წყალს და ერთიანი შემართებით შექმნეს ახალი ცხოვრება. იმერული კაცისთვის ხომ ყველაზე ახლობელი შრომით მიღწეული ბედნიერებაა. ისედაც ხალისიანი ოჯახი ცეკვა-სიმღერის ნიჭითაც გამოირჩეოდა. დალალიშვილები ახალი მესხური გარემოს, მესხური სოფლის ცხოვრების ფერხულში ჩადგნენ. ასეთი იყო ადაპტაცია იმერლებისა სოფელ სვირში, ადგილობრივ მესხებთან.

გავისხენოთ, რომ მესხები უძველესი ქართული ტომია. იგი ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მოიპოვებოდა. მესხეთის მოსახლეობაში იგულისხმება დღევანდელი სამცხეს ანუ ახალციხის, ბორჯომის, ადიგენისა და ასპინძის რაიონის მოსახლეობა. ისტორიული ბედუქულ-მართობის დროს ამ მიწა-წყალზე ბევრი უბედურება დატრიალდა, განსაკუთრებით რელიგიური თვალსაზრისით, მაგრამ ამ მხარემ შეინარჩუნა ქართული ენა, ქართული კულტურა – სიმღერა, ცეკვა, უძველესი ადათ-წესები, თქმულებები და სიმღერები. ამდენად, აქ ჩამოსახლებულ იმერელთათვის საამაყო ყოველთვის, რომ თავისი ცხოვრებით ამ დიდებულ მხარესთან არის დაკავშირებული.

აქაურებს დღესაც ახსოვთ დალალიშვილების ოჯახის სიბოძო და სიყვარული, რაც უშანგის მშობლებმა ათეული წლების წინ დათესეს სოფელში. ნესტორ დალალიშვილი და ულამაზესი ქალბატონი ალექსანდრა გუნცაძე შეხმატკბილებული ცხოვრებით ამიდრებდნენ თავიანთ საუბრებს – ოჯახს. ამ დიდებულ ოჯახში 9 შვილი გაიზარდა და ყველა მათგანი ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქეა!

სვირის საშუალო სკოლის გამოცდილმა მასწავლებლებმა ჩაუნერგეს უშანგი დალალიშვილს მათემატიკის სიყვარული და ხელოვნების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება. სვირელებს დღემდე ახსოვთ მისი ხალისიანი ბუნება, მუსიკალური ნიჭი. მახსოვს, არც ერთი კონცერტი არ ჩატარდებოდა მესხეთში, არც ერთი სახალხო დღესასწაული და არც ერთი დიდი ოლიმპიადა, სადაც უშანგის თავისი წვლილი არ შეეტანოს და საზოგადოებაში აღფრთოვანება არ გამოეწვიოს. მან თავისი კვალი დატოვა ახალციხის, აწყურის, ზიკილიის, სვირის, ვალესა და სხვა სკოლებში, სადაც იქმნებოდა და ვითარდებოდა (როგორც სხვა რაიონებში) გასული საუკუნის 60-იანი წლების ქართული ქორეოგრაფია. უშანგი დალალიშვილისა და კაკო ქიმერიძის ღვაწლი ამ საქმეში დიდია. უშანგის ნიჭიერების ერთ-ერთი დამადასტურებელი ისიცაა, რომ იგი წლების განმავლობაში მუშაობდა სუხიშვილების ცნობილ ანსამბლში და თავისთავად მონაწილე გახლდათ გასული საუკუნის 70-იანი წლების დიდი წარმატებისა ევროპის ქვეყნების ტურნეებში.

კულტურის სფეროში წარმატებული საქმიანობის პარალელურად უშანგი დალალიშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ფაკულტეტის სტუდენტი ხდება – აისრულა ბავშვობის ოცნება



– ეუფლება ინჟინრის პროფესიას. უნდა აღვნიშნოთ, რომ მას ამ ოცნების შესრულებაში თანადგომა მისი ოჯახის ნათესავმა, ან გარდაცვლილმა მამამ ათქმე გაუწია. იგი დღესაც დიდი მოკრძალებით იხსენებს მის სახელს.

სტუდენტობის წლებმა დიდი როლი შეასრულა ამ ნიჭიერი ახალგაზრდის ცხოვრებაში. მან არაერთი წარმატება მოუტანა უმაღლეს სასწავლებელს: იგი ხდება ერევნის ცნობილი ფესტივალის ლაურეატი, მაყურებელს დღემდე ახსოვს უშანგის ვირტუოზული ცეკვა სცენაზე დოლიანად, ასევე დიდი წარმატებით აქვს მოპოვებული სხვადასხვა რეგიონალური მხატვრული დათვალეობების დროს, მათ შორისაა თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე საქართველოს მხატვრული შემოქმედების მორიგი ოლიმპიადა. დღეს უკვე ასაკოვანი პატიოსანი უშანგი დალალიშვილი საპატიოდ თვლის, რომ იგი ცნობილი ქორეოგრაფის გივი ანთიძის ყოფილი მოსწავლეა.

დალალიშვილთა უფროსი შვილი უშანგი დალალიშვილი მოდის დიდი ოჯახიდან, რომლის მაჰაპაპურ ფუძემდებელს დედამიშვილი აღიზარდა (მათგან ერთი – ჯემალი, ან გარდაცვლილია). უშანგიმ თავის თავზე აიღო ამ ოჯახის მომავალი. იგი თითქმის ყველა მის შთამომავალს დაეხმარა, ფეხზე დამდგარიყო და მომავალ ცხოვრებას შესდგომოდა, ამ კეთილშობილურ საქმიანობაში გვერდში უდგას ოჯახის დიასახლისი, მეუღლე, ქალბატონი ნანული ბერიშვილი. ასე მთლიანდება ოჯახი, ასე ემაღლიერებიან შთამომავლები!

წლების განმავლობაში უშანგის არაერთი მადლობა დაუმახსურებია საზოგადოებრივი საქმიანობისთვის. იგი მუშაობდა ტყავ-მომარაგების სისტემაში და საქართველოს მეტალკომბინატში. ერთ ფაქტს აღვნიშნავთ: ჟინვალის ცნობილი ავარიის დროს უშანგიმ ოპერატიულად მოახერხა მიწების აღდგენა 4 კმ მანძილზე და დიდი მადლობა დაიმსახურა.

არ შეგვიძლია, არ ვახსენოთ ის დიდებული ფაქტი, რაც გამოიხატა უშანგი დალალიშვილის თაოსნობით სოფელ სვირში. წმინდა ნიკოლოზის ტაძრის აშენება-დასრულებაში საკუთარი ხასხრებით. დღეს იქ მოღვაწეობს მეუფე თედორე. ტაძრის გახსნა დიდ მოვლენად იქცა ახალციხის რეგიონში.

დღეს პატიოსანი უშანგი წარმატებით იღვწის თავისი სპეციალობით. მისი ორი შვილიც ღირსეულად აგრძელებს ოჯახის ტრადიციებს. რად ღირს დღეს იმის გახსენება, რომ ამ დიდი ოჯახის უფროსს, 85 წლის ნესტორ დალალიშვილს მარადიულ საუფლოში მიაცილებდა 9 შვილი, 26 შვილიშვილი და 16 შვილთაშვილი, პატივისმცემელი თანასოფლელები და ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები. დღეგრძელობა ამ ფუძეს!

დღეს უშანგი დალალიშვილი წარმატებით ხელმძღვანელობს დედაქალაქში შექმნილი მესხების ასოციაციას და გვერდით უდგას მის ლიდერს, პროფესორ ამირან მექვაბიშვილს.

ვუსურვოთ 80 წლის უშანგი დალალიშვილს დიდი ბედნიერება.

**ლიანა ხმალიაძე,**  
ასოციაცია „მესხეთის“ წევრი, ეროვნულ-სოციალური აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

## მინისტრმა გარისახოლი გააშუქა ბაბასარა

ბარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული შალვა კერესელიძე და დუშეთის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ბარისახოში პანსიონსა და საბავშვო ბაღს ესტუმრნენ. მათ ბავშვებს და აღმზრდელებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს.

პანსიონის მოსწავლეებს, მეფუტკრეობაზე მეოცნებე ძმებს, გაბა და გია ლიქოკელებს საჩუქრად 10 ცალი სკა გადაეცათ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ახალგაზრდა ძმების გეგმები მოისმინეს და მხარდაჭერა აღუთქვეს.

ლევან დავითაშვილმა ბარისახოელებს იმ ახალ პროგრამაზე მიანოდა ინფორმაცია, რომელიც მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები ოჯახების მხარდასაჭერად 2019 წლიდან დაიწყება. პროგრამა მთაში მესაქონლეობისა და ეკოტურიზმის განვითარებას ითვალისწინებს. როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, აღნიშნა, ძალიან მნიშვნელოვანია იმ ადამიანების მხარდაჭერა, რომლებიც მთიან რეგიონებში ცხოვრობენ და იქ ყოფნით, ფაქტობრივად, საქართველოს საზღვრებს ამარგებენ.



## სახალწლო სრუქები ერგნეთში

სამპლემომედილო აქციის ფარგლებში ქალთა ასოციაციის წევრებმა ერგნეთის მოსახლეობას საახალწლო ნობათი – სურსათი, ტკბილეული, ტანსაცმელი და საყოფაცხოვრებო პროდუქტები ჩაუტანეს.

„ასეთი ხელდამშვენებული აქცია, კარგა ხანია, ჩვენთან არ ყოფილა“, – ასე შეაფასეს ერგნეთელებმა ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორების სტუმრობა. დიდი იყო ერგნეთის მკვიდრთა სიხარული თანადგომისათვის და მათ ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ ასეთი მხარდაჭერით სოფლის მაცხოვრებლები 2008 წლის 8 აგვისტოს ომის შემდეგ არცთუ განევიწროებულნი არიან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქალთა ასოციაცია არსებობს 45 წელს ითვის და ამ ხნის მანძილზე მათ ყოველ დღესასწაულზე უამრავ ადამიანს გაუთბეს გული.



როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა, ქალთა ასოციაციის თავმჯდომარე ნაზი კუციავამ აღნიშნა, ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ერგნეთის მოსახლეობას დამდეგი შობა და ახალი წელი მიულოცეს, უსურვეს მშვიდობა და ოკუპირებული ტერიტორიების ახლო მომავალში დაბრუნება.

„პროფესორებმა ღია კახიანმა, ლანა პაპავამ, ელმირა ჩხიკვაძემ, მაკა დემეტრაძემ, ჟუჟუნა პეტრიაშვილმა, ქეთევან გრძელიშვილმა, თამარიკო ედილაშვილმა შევეკრიბეთ მცირე თანხა, პატიოსანი დიმიტრი ერისთავი შემოგვიერთდა და ვიყიდეთ ტკბილეული, ხილი, ზამთრის ტანსაცმელი სხვადასხვა ასაკის ადამიანებისთვის, ძალიან დაგვეხმარა კომპანია „ტკბილი ქვეყანა“. ერგნეთში ხელდამშვენებული ჩავედით და 50 ოჯახის გახარება შევძელით“, – განაცხადა ნაზი კუციავამ. მოსახლეობასთან შეხვედრას ორგანიზება გაუკეთა გორის საკრებულოს წევრმა, ქალბატონმა ლია ჩლაჩიძემ.

## ბიჭუნა და კალი

ფინსპუშხე დემბო ლომიძემ ბიჭისა და ძაღლის ფოტო გაავრცელა წარწერით – „თავისთვის იწვა ძაღლი, მივიდა, ეფერა და მერე თავის ქურთუკი დააფარა“. ფოტო ვირუსულად გავრცელდა სოციალურ მედიაში.

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ სუნდუკიანის ქუჩაზე, 11 წლის ლევან გიორგაძესთან ერთად, მიუსაფარი ძაღლებისათვის ხის სახლი დადგა.

„გიორგი ფუშინ გავრცელებული ფოტოს გმირია, სადაც ჩანს, თუ როგორ აფარებს მოზარდი თავის ქურთუკს ეზოში მწოლიარე მიუსაფარ ძაღლს. ის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოსა და სააგენტოს მიერ ჩატარებულ სამაშველო ოპერაციებსაც გაეცნო“, – წერს ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო.



# პარიზში საპატიო სტუმრად

ფრანკოფონიის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს წარმატებას უკვალოდ არ ჩაუვლია — ცოტა ხნის წინათ ცნობილი გახდა, რომ 2021 წელს, საქართველო კიდევ ერთი პრესტიჟული, პარიზის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი ქვეყანა იქნება.

ეს მოწვევა საქართველომ საფრანგეთისგან უპირობოდ მიიღო — აქამდე, როგორც წიგნის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი, დეა მეტრეველი ამბობს, საქართველოს ამ ბაზრობაზე საკუთარი სტენდიც კი არ ჰქონია — 2021 წელს კი საფრანგეთის აუდიტორიის წინაშე საპატიო სტუმრად წარდგება.

შეთავაზება საქართველომ ფრანკოფონიაში მიიღო, თუმცა მაშინ ბევრი დეტალი იყო გასარკვევი და შესათანხმებელი — რაც მთავარია, საქართველოს მთავრობის მხრიდან უნდა ყოფილიყო დასტური და მონაწილეობის სურვილი — დეკემბერში წიგნის ცენტრმა საბოლოო დადასტურებული პასუხი მიიღო და ფრანკოფონიის შემდეგ კიდევ ერთი პრესტიჟული წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმრობისათვის მზადება

2019 წელს დაიწყო:

„ახალი წლის შემდეგ ახალი ძალებით ვინცებთ მომზადებას პარიზისთვის. ბევრი საქმე გვექნება, თარგმანები, კონცეფცია... ჩემი სურვილია, რომ ფრანკოფონიის წარმატება ამით არ დასრულდეს და საქართველო საპატიო სტუმარი ქვეყანა გახდეს დიდ ბრიტანეთშიც, ლონდონის წიგნის ბაზრობაზეც, მექსიკაშიც, სადაც ერთ-ერთი ყველაზე დიდი და პრესტიჟული ბაზრობა იმართება. ამ მოწვევამ დაადასტურა, რომ საფრანგეთში უსმენს გერმანიას — მათ ნახეს როგორი გამოხმაურება მოჰყვა ჩვენს პროგრამას ფრანკოფონიაში, ნახეს, რას წერდა გერმანული პრესა საქართველოზე, ვიქტორი, რომ ეს შეთავაზებაც სწორედ ამ წარმატების შედეგია“, — გვითხრა დეა მეტრეველმა.

პარიზის წიგნის ბაზრობა თავისი სიდიდითა და მნიშვნელობით, ცხადია, ფრანკოფონიის ვერ შეედრება, თუმცა საქართველოსთვის ფრანკოფონიის წიგნის ბაზრობა შესვლა რამდენიმე მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი:



ეს საკმაოდ დახურული ბაზრობა — ქართველი ავტორები, პრაქტიკულად, ამ ბაზრობისთვის არ ითარგმნებიან — ახლა კი გაჩნდა შანსი, რომ ეს სურათი შეიცვალოს და გერმანიის გარდა, როგორც დეა მეტრეველიც ამბობს, ამ შესაძლებლობამ გზა უნდა გახსნას სხვა ფრანკოფონური ქვეყნების წიგნის ბაზრობისაკენ.

პარიზის წიგნის ბაზრობა ყოველწლიურად, გაზაფხულზე იმართება და ის მსოფლიოს 37 ქვეყნის 1200 გამომცემელსა და 2000 ავტორს მასპინძლობს.

იპა ქვიციანიძე

## უფალთან ვერ იხუმრებ

**რუსთაშის თეატრი.**  
დარბაზი — მაყურებელი საფეხს; სცენა — საფეხს რეჟისორული აზროვნებით. სპექტაკლი — არა უბრალოდ დადგმა, არამედ შეთხზული, მკაფიო კონცეფციით გამოთლიანებული;

ეს თეატრიკურად დახვეწილი სანახაობა, სადაც უმაღლეს დონაზე მთელი სადადგმო ჯგუფის წვლილი — მხატვრის (ბიძინა სიდიანი), კომპოზიტორის (მიშა მდინარაძე), ქორეოგრაფის (გია მარღანიანი), საბრძოლო ხელოვნების ოსტატის (შოთა გეგიაძე) ნამუშევარს.

**მოლიერი**ს „დონ ჟუანი“. პიესა, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო. პერსონაჟი, რომელიც მარადიულ სიმბოლოდ იქცა. საჯილდაო ქვადაც, რომელსაც მსახიობი ადვილად ვერ შეეჭივება.

რაინდი კომედიაში, ოლონდ, პაროდის გარეშე და ტრაგიკული აღსასრულით.

ამბავი — რეალურისა და ირეალურის ზღვარზე გათამაშებული...

**სოსო ნემსაძე**ს პიესას ისე არ დადგამს, თუ მისი ახლებური გადან ყველა არ



სახიერება „თამაშად და უჩანს მღერად“. თამაში — ლალი და ბუნებრივი. სილაღე კარგია, მაგრამ მთავარი უნდა გახსოვდეს: შეიძლება, ითამაშო ქალ(ებ)თან, საკუთარ მსახურთან, თვით შენგანვე მოკლული კომანდორის ძეგლთანაც კი, მაგრამ ვერ ითამაშებ ზეცასთან, ანუ ღმერთთან.

თამაშით ვერ განუმორებ ცოდვებს და ვერ შეუდეგები პატიოსნების გზას.

აქ მხოლოდ გულწრფელობა თუ გიშველის. უფალთან ვერ იხუმრებ. სწორედ ამის არცოდნას ეწირება დონ ჟუანი.

და რა ნიშანდობლივია სგანარელის საფინალო ფრაზა: „ჩემი ჯამაგირი?!“

ეს კითხვა ათვალსაჩინოებს, თუ რისთვის ემსახურებოდა იგი თავის ბატონს.

ამიტომაც, რაგინდ გვაგონებდეს, ვერასოდეს მიუახლოვდება სანჩო პანსას, ისევე, როგორც მისი ბატონი — უკეთილშობილეს დონ კისოტს.

სგანარელიც უდავოდ ჰყავს სოსო ნემსაძეს.

სოსო ელიზბარაშვილს ეს როლი დაძლეული კი აქვს, მაგრამ ჯერჯერობით არა ბოლომდე მორგებული.

იმედია, მის თამაშსაც თანდათან შეეძინება მეტი სილაღე და ბუნებრიობა...

საერთოდ კი მთელი სამსახიობო ანსამბლი ორგანულადაა ჩართული რეჟისორული ჩანაფიქრის განხორციელებაში.

დავასახელოთ: ანა შარვაძე (დონა ელვირა), ნათია ალბორიშვილი (L), ნათია მელაძე (M), თეა შერვაშიძე (S), თეონა ხვედელიძე (XL), ზურაბ ჯინჭარაძე (დონ ლუისი), არჩილ მაკალათია (დონ კარლოსი), ლაშა კანკავა (ქანდაკება).

**სოსო ნემსაძე**ს მორგი უდავოდ წარმატებული დადგმა რუსთაშის თეატრში.

გოგოლის „შეშლილის წერილების“ შემდეგ.

ახლა მხოლოდ ერთს თუ შევნიშნავთ და ვისურვებთ: ქართული პიესა.

ქართული ტკივილებით.

სოსო ნემსაძეს ეს შეუძლია. სოსო ნემსაძეს ეს ევალება...

**იოსებ ჭუმბურიძე**

## სოპრო სენის მუხენაბა „ბადრიძე, ბი-ი-ის!..“

**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრში მოეწყო მომღერლის (ლირიკული ტენორი), საქართველოს სახალხო არტისტის დავით ბადრიძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა „ბადრიძე ბი-ი-ის!“.** გამოფენაზე ასევე მოეწყო ნ. დისკის პრეზენტაცია, რომლებიც მოსკოვშია გამოცემული და მისმა ქალიშვილმა, ქალბატონმა ლალიმ საჩუქრად ჩამოიტანა და გადასცა მუზეუმს და ოპერის მოყვარულებს.

იშვიათი სილამაზის, ლირიკული ტენორი, ვერთერისა და ლენსკის არიები, კავარადოსი, ჩაიკოვსკისა და რახმანინოვის რომანსები, ქართული სახალხური სიმღერები და ნეაპოლიტანური ტარანტელა... სუფთა ბგერა, ტენორის მაქსიმალური დიაპაზონი, — ასეთი იყო საქართველოს სახალხო არტისტის, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორისა და საქვეყნოდ ცნობილი სოპრო მომღერლის დავით ბადრიძის დახვეწილი ხმა. 1926 წლის სეზონიდან მოყოლებული, ასრულებდა ნამყვან პარტიებს თბილისის, ლენინგრადის, სვერდლოვსკისა და მოსკოვის დიდი თეატრის სცენებზე. იპყრობდა მაყურებელს მაღალი ოსტატობითა და შესრულების ვაჟკაცური მანერით. მას ტაშს უკრავდნენ ეროპაში, აზიასა და აფრიკაში... მისი ხმა ხშირად ისმოდა რადიოდან. 1930-40-იან წლებში ჩაინერა არტისტის ნამღერი ორმოცზე მეტი ფირფიტა.

მნიშვნელოვანია ბადრიძის რეჟისორობით საზღვარგარეთ დადგმული ოპერები, სადაც მიღებული აქვს უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოები. 1958 წ. „ევგენი ონეგინი“ — ფზენიანი, 1961 წ. „ევგენი ონეგინი“ — ჰანოი, 1969 წ. „მადამ ბატერფლია“ — ქაირო.

სალამოზე მოგონებებით გამოვიდნენ მისი მეგობარი მომღერლები — იმერკავსაძე, რამაზ კუბლაშვილი (რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა ქუთაისიდან),

ორი ქართული და მინანქარი: „ამ სიმღერების ნოტები ყოველთვის თან უნდა ატარო“.

**ლალი ბადრიძე** — „იყო მომენტები, როდესაც სცენა თხოულობდა არამარტო ნიჭიერებას და ოსტატობას, არამედ სიმამაცესაც. მამის კოლეგები იხსენებდნენ შემთხვევას, რომელიც 1944 წელს სპექტაკლ „ევგენი ონეგინზე“ მოხდა. უნაზეს პიანისიმოზე მამა მღეროდა „სამყარო და მივიწყებს მე...“ და ამ დროს ნაადრევად გაიხმა გასროლის ხმა. გასროლის ხმასთან ერთად თეატრში ჩაქრა შუქი. დაბომბვისგან შეშინებული მაყურებლები ნამოხტენ თავიანთი ადგილებიდან, დირიჟორმა მიატოვა პულტი და კარში გაუჩინარდა. მხოლოდ მომღერალი იდგა სცენაზე და აგრძელებდა სიმღერას. პუბლიკა შეჩერდა, აინთო სანთლები, დირიჟორი დაბრუნდა. სპექტაკლი გაგრძელდა“.

**რამაზ თოფურიძე, ფოტოები** ფილმიდან „ჯურდანი ფარი“.



მომღერლის ქალიშვილი ლალი ბადრიძე და სხვ.

**იმიერ კახსაძე** — „დავით ბადრიძე გამოჩენილი მომღერალი იყო, რომელიც მრავალი წელი ამშვენებდა საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს საუკეთესო საოპერო სცენებს, ის დიდი თეატრის ნამდვილი მშვენიერა იყო“.

**რამაზ კუბლაშვილი** — „როგორც ბატონი დავითი მიყვებოდა, ერთხელ დიდ თეატრში წარმატებული კონცერტის შემდეგ, ბევრი ბისი უმღერია, ხოლო ბოლოს მაყურებელთა ერთ შეკვეთილ ბისზე უთქვამს — ამ სიმღერის ნოტები არ ნამომილიაო. გასასვლელში მას სამხედრო პირი დახვედრია და სტალინისგან პატარა ქალაქი გადაუცია, სადაც ხუთი სიმღერა იყო ჩამოთვლილი, აქედან



ექნება მოფიქრებული. მისეული ვერსია ამჯერადაც ორიგინალურია.

არა მხოლოდ დასაწყისით, სადაც დონ ჟუანი უკვე მკვდარია და კუბოდან უნდა წამოდგეს.

წამოდგეს და ითამაშოს. მისთვის ხომ ცხოვრება თამაშია. ყველაფერი თამაშია.

ამიტომაც, ყველაზე ორიგინალური რეჟისორული ვერსიაც ვერ გიშველის, თუ ასეთი თამაშის შემძლებელი მსახიობი არ გყავს.

სოსო ნემსაძეს უდავოდ ჰყავს ასეთი მსახიობი.

ნიკა ჩხაიძე — ვისაც დონ ჟუანის გან-





# ბედნიერ ასალ წელს და მხიარულ ბარტოზას ბისურკვებით!!

თბილისში ასალი წლის დღეებში დაგეგმილი  
ღონისძიებების პროგრამას ავრცელებს.

## თუ გსურთ, იყოთ იღვლიანი... თქვით უარი!

შეადგება წელიწადმა რომ წარმატებით ჩაიაროს,  
აუცილებელია, დაწყებული საქმიანი ბოლომდე მიიყვანოთ  
და ზოგიერთი ჩვევა უარი თქვათ.

**მარი** – ვერძებმა მიმავალ წელს თავიანთი სიჯიუტე უნდა დაუტოვონ. ეს თვისება ხელს გიშლით მიზნების მიღწევაში და რაც მთავარია – საკუთარი შეცდომების აღიარებაში. ყოველთვის არაა საჭირო, ამტკიცოთ თქვენი სიმართლე და ურთიერთობები გამოარკვიოთ მათთან, ვისაც განსხვავებული თვალსაზრისი გააჩნია. სრულებით შესაძლებელია, რომ სხვისი მოსაზრება დაგეხმაროთ რთული პრობლემის გადაჭრაში.

შემცირდება და ყოველი ასალი დღე ასალი განსაცდელი აღარ იქნება. **სასწორი** – სასწორებმა წლის ბოლომდე უნდა მოიშოროთ ეჭვები და სიმორცხვე, რომლებიც წარმატებისგან გაშორებენ. აუცილებელია ნეგატიური აზრების გადალახვა და ძველი პრობლემების გადაჭრა, რათა მომავალ წელს უკვე ასალი მიზნებისკენ დაიწყოთ სვლა.

**კურო** – კუროებმა უნდა მოიშალოთ მუდმივი ეკონომიის რეჟიმში ყოფნის ჩვევა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ამ თვისებას დადებითად მიიჩნევს, ეს თქვენ საშუალებას არ გაძლევთ, ცხოვრებით დატკბეთ და ხანდახან თავი დამსახურებული სიუპრიზებით გაინებოთ. არ ღირს თავის ყველაფერში შეზღუდვა: ხანდახან საკუთარი სურვილები უნდა დაიკმაყოფილოთ.

**მორიელი** – მორიელებს უნდა მოლოდინი რომანტიკულ და მეგობრულ ურთიერთობებში გიშლით ხელს, ამიტომ ეს თვისება ახლავე უნდა მოიშოროთ. არაა საჭირო, ყოველ შემხვედრში მოლაღობა და მატყუარა დაინახოთ. როდესაც გარშემომყოფებისგან აბსტრაგირებას ცდილობთ, ამით კარგავთ შესაძლებლობას, გაიცნოთ საჭირო ადამიანები და მოაგვაროთ პირადი ცხოვრება.

**ტყუარი** – ჰოროსკოპი ტყუარებს წარმატებულ წელიწადს ჰპირდება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახლოვლად ამიანიებს მეტ ყურადღებას დაუთმობენ. ხანდახან თქვენ მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე გაქვთ მთელი ყურადღება მიმართული. ასტროლოგები გირჩევენ, დაინტერესდეთ ახლოვლების ცხოვრებით და ხანდახან მინც გაუწიოთ უანგარო დახმარება მათ. ასე გადადგამთ პირველ ნაბიჯებს ბედნიერი ცვლილებებისკენ.

**მშვილდოსანი** – მხიარული, ცოცხალი და აქტიური მშვილდოსნები გარშემომყოფებს სშირად ეჩვენებათ არასერიოზულად. ეს თვისება მათ ხელს უშლის, ნდობით აღსავსე ურთიერთობებში დაამყარონ ადამიანებთან. 2019 წლიდან ყველაფერი უნდა შეიცვალოს, ცხოვრება ხომ, მხიარულების გარდა, საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობასაც გაულისხმობს. მშვილდოსნებმა ეს უკვე ახლავე უნდა შეიყვანონ პრიორიტეტებში, მთავარია, არ შეგეშალოთ.

**პირსიხი** – პირსიხებს ზედმეტი დრამატიზირება გიყვართ და დროა, ამ ჩვევაზე 2019 წელს უარი თქვათ. მომავალი წელი თქვენ უამრავ დადებით მომენტს გაჩუქებთ, მაგრამ პესიმისტური განწყობის გამო შეიძლება ეს ვერც კი შენიშნოთ. ნუ დაჩრდილავთ სასიამოვნო მოვლენებს. თუ შეძლებთ და დადებითი ემოციების სანყის იპოვით, 2019 წელი თქვენთვის ბევრად კარგა და მრავალფეროვანი გახდება.

**თხის რძა** – თხის რქები, უმეტესად, ძალზე თავშეკავებული არიან. ამის გამო გარშემომყოფებს უჭირთ მათი აზრებისა და ემოციების გაგება. 2018 წლის ბოლომდე მეტად უნდა გაიხსნათ, ხანდახან აუცილებელია, რომ გრძნობებს გამოხატვის თავისუფლება მისცეთ. დატოვეთ მოჭარბებული სიმორცხვე ამ წელიწადში და 2019 წელს თავს მეტად თავისუფლად და ბედნიერად იგრძნობთ.

**ლომი** – გარშემომყოფები სშირად ამპარტავნებდა და საკუთარ თავში შეყვარებულად ამიანიებს მიგჩინებენ. იქნებ, საჭიროა, გახდეთ უფრო კომუნიკაბელური და მეგობრული. როგორც წესი, ლომებს გიყვართ ყურადღება, სწორედ ეს განიჭებთ ძალებსა და თავდაჯერებულობას. მაგრამ 2019 წელს ჯობია, საკუთარ თავში რწმენის ასამაღლებლად სხვა ხერხები იპოვოთ.

**მირწყული** – ხანდახან მერწყულები ცდილობენ, იმასაც კი დაეხმარონ, ვისაც ეს მათთვის არ უთხოვია. ეს ჩვევა ამ წელიწადში დატოვეთ. ალტრუიზმი, რა თქმა უნდა, სანაქებო რამაა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ადამიანს საკუთარ ინტერესებსა და მოთხოვნილებებს არ ავიწყებს. დაუთმეთ 2018 წლის ბოლო საკუთარ თავს. თუ ამას გააკეთებთ, სწრაფად შეძლებთ საკუთარ პრობლემებთან გამკლავებას და დაუსრულებელი საქმეების შესრულებას.

**ძალწული** – ქალწულებისთვის კმარა ყველაფრის კონტროლი. აღიარეთ, რომ თქვენც შეიძლება შეგეშალოთ. სურვილი, რომ ყველაფერი უზადოდ გააკეთოთ, კარგ არაფერს მოიტანს, პირიქით, ეს სშირად იმედგაცრუების მიზეზი ხდება. პერფექციონიზმი ის თვისებაა, რომლისგანაც ამ წელსვე უნდა გათავისუფლდეთ. ამ შემთხვევაში თქვენს საქციელზე პასუხისმგებლობის ტვირთი

**თევზები** – თევზებისთვის რეკომენდებულია გულდასხურულობისგან გათავისუფლება. გახდით მეტად გულგახსნილი, კომუნიკაბელური. ხანდახან სწორედ ეს თვისება გიშლით ხელს, რომ საკუთარი თავის რეალიზება შეძლოთ, არადა, ძალზე საინტერესო და მრავალმხრივი პროვინები ხართ. 2019 წელს შეძლებთ თქვენი მიზნების განხორციელებას, თუ კარგად იმუშავეთ საკუთარ თავზე და მეტად თავდაჯერებული გახდებით.

**ადგილმდებარეობა:** პირველი რესპუბლიკის მოედანი, ყოველდღიური აქტივობები პატარებისთვის:

**3 იანვარი**  
14:00 მაკნატუნების მარში;  
16:30 ჭობონელიძეების სტუდიის საბავშვო კონცერტი;  
19:00 ნიკა წერეთელი – ჯგუფი „ელარჯი“ – კონცერტი;  
21:00 Young Georgian Lolitaz – კონცერტი.

საშობაო ბაზრობა – პირველი რესპუბლიკის მოედანი;  
ყინულის მოედანი;  
დისტანციური მინი ავტომობილების პარკი;  
საშობაო ვორქშოფი;  
საშობაო წისქვილი-კოშკი;  
ზღაპრის გმირები;  
ლია კინოთეატრი;  
თოვლის ბაბუის სახლი და ფოტო-ზონა თოვლის ბაბუასთან ერთად;  
გასტრონომიული მარკეტი;  
სახეზე მოხატვა.

**4 იანვარი**  
14:00 მაკნატუნების მარში;  
15:00 ბზიკების სტუდია (საბავშვო კონცერტი);  
16:00 ეროვნული სასახლის ანსამბლი „მზიური“ – დუბ დრაივი;  
21:00 რადიო – ქართული ესტრადის ვარსკვლავების კონცერტი.

**30 დეკემბერი**  
14:00 მაკნატუნების მარში;  
15:00 პროექტი – „მოგზაურობა ნიგნებში“;  
17:00 მეკოს სტუდია (საბავშვო კონცერტი);  
19:00 გიორგი მანგაძის ბენდი – კონცერტი.

**5 იანვარი**  
14:00 მაკნატუნების მარში;  
15:00 ეროვნული სასახლის გაერთიანებული კონცერტი;  
18:00 პროექტი – „მოგზაურობა ნიგნებში“;  
21:00 გიორგი ცაგარელი – SvanSikh – კონცერტი;  
22:00 დიჯეი.

**31 დეკემბერი**  
14:00 მაკნატუნების მარში;  
15:00 პროექტი – „მოგზაურობა ნიგნებში“;  
23:00 საახალწლო გალა-კონცერტი.

**6 იანვარი**  
14:00 მაკნატუნების მარში;  
15:00 პროექტი – „მოგზაურობა ნიგნებში“;  
17:00 ყოზეს შოუ;  
21:00 საშობაო სიმღერის გალა-კონცერტი;  
22:00 დიჯეი.

**1 იანვარი**  
14:00 მაკნატუნების მარში;  
16:00 ბასტი ბუბუს კონცერტი;  
21:00 ლევან მასპინძელაშვილის ბენდი – კონცერტი.

**7 იანვარი**  
14:00 მაკნატუნების მარში;  
15:00 ყოზეს შოუ (4 სთ);  
17:00 მოძრაობის თეატრი;  
21:00 ქართული მიუზიკლი „ჩიკვათა ქორწილი“.

**2 იანვარი**  
14:00 მაკნატუნების მარში;  
15:00 ეროვნული სასახლე – Teen Club;  
17:00 ანა-ბანა;  
19:00 ჯგუფი „ნიუტონი“ – კონცერტი;  
21:00 ფოლკლორის საღამო – კონცერტი;  
23:00 დიჯეი.

**13 იანვარი**  
21:00 ნინო ქათამაძე – ახალი საახალწლო პროგრამა.

## როგორი ავიწდი იქნება წინასასახალწლოდ?

### სინოპტიკოსების პროგნოზი

**30 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში** – დროგამოშვებით მოიმატებს ღრუბლიანობა. ზოგან ნალექი, მთაში თოვლის სახით. ცვალებადი მიმართულების ქარი 8-13 მ/წმ. ჰაერის ტემპერატურა: დაბლობში ღამით -1°, +4°, დღისით +6, +11°; მთაში ღამით -6, -1°, დღისით 0, +5°; მაღალმთაში ღამით -9°-4°, დღისით -5°, 0°.

**აღმოსავლეთ საქართველოში** – დროგამოშვებით ღრუბლიანობის მომატება. ზოგან შესაძლებელია მცირე ნალექი, უმეტესად თოვლის სახით. ცვალებადი მიმართულების ქარი 8-13 მ/წმ. ჰაერის ტემპერატურა: ბარში ღამით -6°, -1°, დღისით +2, +7°; მთაში ღამით -1°, -6°, დღისით -2°, +3°; მაღალმთაში ღამით -14°, -9°, ზოგან -18°-მდე, დღისით -5, 0°. ზოგან -8°-მდე.

**თბილისში** – დროგამოშვებით ღრუბლიანობის მომატება. უმეტესად უნალექოდ. ცვალებადი მიმართულების ქარი 8-13 მ/წმ. ჰაერის ტემპერატურა: ღამით -3°, დღისით +6°.

**კოზი-გუდაურში** – დროგამოშვებით ღრუბლიანობის მომატება. უმეტესად უნალექოდ. ცვალებადი მიმართულების ქარი 8-13 მ/წმ. ჰაერის ტემპერატურა: ღამით -20°, -15°, დღისით -6°, -1°.





რეჟისორი



ლესკარელა ბრძელდება

ახალგაზრდა ათლეტს რომ წიგნს მიუძღვნა, ბევრი გულით ხარობს, თუმცა, არიან ისეთებიც, შიშნარევ ვარაუდს რომ გამოთქვამს — ემანდ, ტალანტს დათვური სამსახური არ გავუწიოთ და აღიარება თავში არ აუვარდესო.

სხვისი არ ვიცი და მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ლაშა ტალახაძეს ასეთი საფრთხე არ ემუქრება, რადგან იგი ისეთ ქურთაშია გამოწვრილებილი, გამოირიცხულია, წარმატებებმა თავბრუ დაახვიოს და პიროვნულად დაანგრისო.

მართლაც, მეტი რაღა უნდა მოიგოს ოლიმპიურმა, მრავალგზის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა, კალმოსანთა ყურადღება რომ მიიპყროს?

ჰოდა, სავსებით ვეთანხმები ჩვენს კოლეგას ზურა თალაკვაძეს, რკინასთან ძლევამოსილად მორკინალი საჩხერელი გოლიათი მუზად რომ გაიხადა და მისდამი უსაზღვრო პატივისცემა კრებულის „ეს ლაშა“ გამოცემით გამოხატა.

სხვათა შორის, აღნიშნული ნაშრომის ავტორი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გენერალური მდივანი გახლავთ და სიმბოლურიცაა, მისი წარდგინება ამ ორგანიზაციის თავკაცის მიხეილ აბაიშვილის ძალისხმევით „ბირ თაიმში“ ზედიზედ მეორედ გამართულ წინასახალწლო ღონისძიებაზე რომ მოეწყო. ბუნებრივია, არანაკლებ მაღლიერებას იმსახურებს სსუ-ს ერთგული პარტნიორი — კომპანია „ლიდერბეითი“, რომელიც ამჯერადაც გვერდში დაუდგა მასმედიას და კიდევ ერთი დაუფინყარი საღამო გვაჩუქა.

ვიდრე მთავარი მოვლენები განვიტარდებოდა, შეკრებილებმა წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად დაღუპული

ძალოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანის რამაზ გურგენიძის ხსოვნას, ხოლო შემდეგ ჟურნალისტთა ვერსიით განვლილი სასპორტო სეზონის ლაურეატი დაჯილდოების ცერემონიალიც დაიწყო. მამ ასე, გაეცანით:

**საუკეთესო სპორტსმენი**  
ლაშა ტალახაძე, ნიკოლოზ ბასილაშვილი, გენო პეტრიაშვილი, გურამ თუშიშვილი, ლევან გორგაძე (ტორინოშინი), გიორგი ჩაკვეტაძე, ზაზა ნადირაძე, ზაზა ფაჩულია, თორნიკე შენგელია, რობერტ კობლიაშვილი.

**საუკეთესო სპორტსმენი ქალი**  
ნინო ოძელაშვილი, ანასტასია გოტფრედი, ელენე ქებაძე.

**საუკეთესო გუნდი**  
ფეხბურთელთა, ძალოსანთა და ქალ მოჭადრაკეთა ნაკრებები.

**საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენი**  
გიორგი ჩაკვეტაძე, რევაზ დავითაძე, გოგა ბითაძე.

**საუკეთესო მწვრთნელი**  
გიორგი ასანიძე, ვლადიმერ ვაისი, ილიას ზუროსი.

ტრადიციისამებრ, სახელობითი პრემიებით დაჯილდოვდნენ ჟურნალისტთა საქმოს ღირსეული წარმომადგენლებიც, მათ შორის, ალექსანდრე კოტორაშვილი, გაია ტუხაშვილი, ალექსანდრე ქურდოშაძე და სილქ ტივი. **ვულოცავთ!**

გიია ალატონიშვილი

პრემიერლიგა

„ლივერპული“ მეოთხეა...

პრემიერლიგის ნისლიან ალბიონზე ისტორიაში „ლივერპული“ გახდა მეოთხე კლუბი, ვინც პირველი წრე წაუგებლად ჩაამთავრა. მან 19 მატჩში 16 მოიგო და სამი ფრედ დაასრულა.

„ლივერპულის“ გარდა, სეზონის პირ-

ველ ნახევარში წაგება არ ჰქონდათ 2003/04 წლებში „არსენალს“, 2010/11 წლებში „მანჩესტერ იუნაიტედს“ და შარშან „სიტის“. სამივე შემთხვევაში, ეს გუნდები საბოლოოდ ინგლისის ჩემპიონები გახდნენ.

გიორგი შოთაძე



რაგბი ჩვენი თემაა!

სუთი წლით

საძრთველს რაგბის კავშირსა და საზოგადოებრივ მათემატიკას შორის სუთნის შეთანხმება გაფორმდა, რომლის თანახმად სანაკრებო და საკლუბო მატჩები პირველი არხით გადაიცემა.

შეთანხმების ნაწილია რაგბი ტვ, რომელიც სრულ მთავარ პარტნიორად რჩება და საზოგადოებრივ მათემატიკასთან მჭიდრო თანამშრომლობა ექნება. პირველ არხზე გადაიცემა „ბორჯღალოსანთა“ თამაშები მსოფლიო თასზე, რაგბი ევროპაზე და ტესტ-მატჩები, ასევე, უმცროს „ბორჯღალოსანთა“ და კლუბების გამორჩეული შეხვედრები, როგორც დიდი 10-დან, ასევე ევროთასებიდან.

რაგბის კავშირის პრეზიდენტის გოჩა სვანიძის თქმით, საზოგადოებრივ მათემატიკასა და საქართველოს რაგბის კავშირს შორის დიდი და ძველი ურთიერთობები აღდგა.

„რაგბი არ ეკუთვნის მხოლოდ მორაგბეებს, ის საქართველოში სახალხო სპორტი და სიმბოლურია, რომ დიდი ხნის ურთიერთობები აღდგა საზოგადოებრივ მათემატიკასთან, რომელიც ასევე სახალხო ტელევიზიაა. რაც შეეხება კონკრეტულ გეგმებს და 2019 წელს, მათემატიკის მაღალი ხარისხით მიიღებს ყველა იმ მატჩს, რომელ-

საც საქართველოს ნაკრები გამართავს. ეს იქნება ერთა თასი, ტესტ-მატჩები თუ მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც 2019 წელს იაპონიაში ჩატარდება“ — განაცხადა გოჩა სვანიძემ.

„პირველ არხზე დიდი რაგბი დაბრუნდა. დღეს გულშემატკივართა და მათემატიკის ძალიან მნიშვნელოვანი რამ მოხდა. ყველამ იცით, რომ რაგბი ჩვენი ეროვნული, ნაციონალური სიამაყის საგანია. საქართველოს რაგბის კავშირსა და პირველ არხს შორის სუთნის შეთანხმება გაფორმდა და ტელემატიკურად გაზარტირებულად მიიღებს ყველა იმ აქტივობას, რაც მორაგბეთა ნაკრებებთან და გუნდებთან იქნება დაკავშირებული. ეს არის მსოფლიო ჩემპიონატი, ერთა თასი, სხვადასხვა მნიშვნელოვანი თამაში, ძალიან ბევრი სიურპრიზი და მნიშვნელოვანი მოვლენა“, — ამბობს საზოგადოებრივი მათემატიკის გენერალური დირექტორი ვასილ მაღლაფერიძე.

კობა კობახიძე



გულახდილად



სინჯად ჩარჩენია

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) პრეზიდენტის თომას ბახის განცხადებით, მის სპორტულ კარიერაში ყველაზე დიდი მარცხი 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ბოიკოტი იყო.

„ამ წაგებამ ახალ მიზნებთან მიმყვანა, ასევე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტამდე, — ამბობს ბახი, — არ მინდა, რომ სპორტსმენთა მომავალმა თაობამ იგივე გამოიაროს, რაც მაშინ მე ჩემი ამჟამინდელი თანამდებობით სპორტსმენთა სასარგებლოდ მიღებული ბევრი ჩემი გადაწყვეტილება ყოველივეს ნათელს უნდა ჰფენდეს“.

მოსკოვის ოლიმპიური თამაშებს 50-ზე მეტმა ქვეყანამ გამოუცხადა ბოიკოტი, მათ შორის, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, რომლის მოფარკავებთა გუნდშიც ირიცხებოდა თომას ბახი. 1976 წლის მონრეალის თამაშებზე ბახმა რაპირისტთა გუნდურ ასპარეზობაში ჩემპიონობა მოიპოვა და მოსკოვის თამაშების ფავორიტადაც მიიჩნეოდა.

ვიტალი ჯაფარიძე

ინტერნეტიდან

თვალსაზრო და ნარკოტიკული

დიდი ფიცი-მტიკი და სიტყვაზე ნდობა ნამდვილად არ გვჭირდება იმის სამტიკიცებლად, რომ 2013 წელს მის მსოფლიოზე მეორე ადგილზე გასული უზბეკი ლამაზმანი რაჰიმა განივე თავის სამშობლოში ერთ-ერთი პოპულარული ადამიანია და მისი ყოველი ნაფიქრი თუ ნამოქმედარი მამულში განსჯის საგნადაა ქცეული.

მართალია, რაჰიმა უზბეკეთში გაიზარდა, მაგრამ მას თავისუფლების მხრივ შეზღუდვა არასოდეს ჰქონია და მრავალი შუაზიეელი ქალბატონისგან განსხვავებით, თავშესაფარი და ტრადიციული აღმოსავლური შესამოსელის ნაცვლად ყოველთვის სექსუალურად და თვალსაზრისით ეცვა. ალბათ, არც ისაა გასაკვირი, რომ ეს ასული სამოდელი ბიზნესში 14 წლიდან ჩაება.

რაჰიმა განივე ასევე უმრწმესი ასაკიდანვე გატაცებულია ჩოგბურთით და მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალურ დონეზე არასოდეს უასპარეზოვია, მოყვარულის კვალობაზე თურმე ჩოგანს საკმაოდ მარჯვედ სცემს. ერთი ისაა, რომ დრო თითქმის არ რჩება, რომ დიდ საჩოგბურთო ასპარეზობებს ცოცხლად უყუროს და მხოლოდ თავის სპარინგ-პარტნიორთან თამაშით შემოიფარგლებას.

როსტომ რაჭველიშვილი



# არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებებით უჩვეულო პიროვნება

## აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე



აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე... ამ სახელის უბრალო ხსენებაც კი სითბოთი, სიყვარულით და უდიდესი ტკივილით ავსებს ყველა იმ ადამიანის გულს, ვისაც ბედნიერება ჰქონდა რაიმე, თუნდაც მცირე შეხება ჰქონდა ამ არაჩვეულებრივ ადამიანთან. „ადამიანში ყველაფერი მშვენიერი უნდა იყოს...“ ეს თითქმის ზედმიწევნით ბატონ მინდიას იყო ნათქვამი. ეს საოცრად წარმოსადგეცი, ლამაზი ადამიანი ასხივებდა სულიერ სისუფთავეს, მაღალ ინტელექტს და დიდ ადამიანურ სითბოს.

მინდია სალუქვაძე დაიბადა 1933 წელს. მას უმძიმესი ბავშვობა ერგო. მშობლები 1937 წელს რეპრესიებს შეეწირნენ და მამიდამ ობლობაში გაზარდა. მიუხედავად გაჭირვებისა, არასდროს დანებებია ცხოვრების ურთულეს გარემოებებს. წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვაჟთა 37-ე საშუალო სკოლა, 1955 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. ასევე წარჩინებით დაამთავრა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის მართვის პრობლემების ინსტიტუტის ასპირანტურა, სადაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1974 წელს სადოქტორო დისერტაცია.

1983 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1993 წელს - აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

აკადემიკოსი მ. სალუქვაძის სამეცნიერო სფერო მოიცავდა მართვის სისტემების მდგრადობისა და ოპტიმალური მართვის სისტემების თეორიის საკითხებს. იგი იყო 200-მდე მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების ავტორი, რომლებიც ცნობილია როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია ტერმინები: სალუქვაძის მეთოდი, სალუქვაძის ამოხსნა, სალუქვაძის პრინციპი. ეს ტერმინები დამკვიდრებულ იქნა ამერიკელი და რუსი მეცნიერების მიერ. მომავალ წელს გამომცემლობა „შპრინგერი“ გამოსცემს მის ახალ მონოგრაფიას.

მას 1979 წელს მონოგრაფიისთვის მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. იმავე წელს მისი ეს მონოგრაფია თარგმნა და გამოაქვეყნა ამერიკაში გამომცემლობა „Academic Press“-მა. იგივე გამომცემლობამ მისი მეორე მონოგრაფია „ვექტორული მათემატიკა“ გამოაქვეყნა 1994 წელს. 2004 წელს აკად. მ. სალუქვაძეს სამტომეული სახელმძღვანელოსათვის მეორე

რეჯერ მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

1996 წელს მ. სალუქვაძის მონოგრაფიამ გიორგი ნიკოლაძის სახელობის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

2015 წელს მას მიენიჭა რუსეთის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის წოდება 2014 წელს გამოცემული საუკეთესო სამეცნიერო ნიგნის ავტორობისთვის.

აკადემიკოსი მ. სალუქვაძე ოცდახუთი წლის მანძილზე იყო ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორი, შემდეგ კი სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

პროფესორი მ. სალუქვაძე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, მისი ხელმძღვანელობით და კონსულტანტობით დაცულია მრავალი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

იგი ამასთანავე ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო. სხვადასხვა დროს არჩეული გახლდათ უზენაესი საბჭოს, თბილისის საბჭოსა და რაიონული საბჭოების დეპუტატად. ათი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა როგორც საზოგადოება „მემორიალის“ თავმჯდომარე და საპატიო პრეზიდენტი, ასევე იყო საქართველოს ჩოხოსანთა საზოგადოების პრეზიდენტი.

მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა საზღვარგარეთის მთელ რიგ სამეცნიერო ცენტრებთან, რაც ხელს უწყობდა საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მის ნაყოფიერ მონაწილეობას. იგი რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის წევრი იყო, მათ შორის 1994 წელს არჩეული იქნა ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე დაჯილდოებული იყო ღირსების ორი ორდენითა და სხვადასხვა მედლებით, სიგელებითა და დიპლომებით.

გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ურთიერთობაში იყო ძალიან უბრალო, თბილი და ყურადღებიანი კოლეგა და მეგობარი - ადამიანი, რომელიც უსაზღვრო ნდობით სარგებლობდა და რომლის იმედიც ყველას ჰქონდა.

მისი დაკარგვით გამოწვეულ უდიდეს ტკივილთან ერთად არსებობს განცდა იმისა, რომ ჩვენ ყველას, მის მეგობრებს, კოლეგებს ძალიან გაგვიმართლა, რომ ჩვენს გვერდით მოღვაწეობდა აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე - გამოჩენილი მეცნიერი და არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებებით შემკობილი პიროვნება.

### საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

## პირობებით დაუპაპულთა რისხვი იზრდება

ახალი წლის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო იზრდება პირობებით დაუპაპულთა რიცხვი. დაუპაპულთა მართლაც დაძვრობა და კიდურების, ასევე თვალის ტრავმული დაზიანებები აღენიშნება.



ხდება ამ დაზიანებების მიყენება. ასაკობრივად ვერ გამოვყოფდი განსაკუთრებით ბავშვებს, რადგან ბევრი ზრდასრული ადამიანი მინახავს დაზიანებული. ძირითადად პაციენტებს აღენიშნებათ დამწვრობა. რთულ შემთხვევებში გვინახავს მტევანზე სერიოზული დაზიანებები - მონყვეტილი თითები - განაცხადა ექიმმა დავით ლომიძემ.

ექიმები მოსახლეობას აფრთხილებენ. „პირობებით დაუპაპულთა მართლაც დაძვრობის, პრაქტიკულად უკონტროლოდ

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის“ ღრმა მწუხარებით თანაუგრძობს ასოციაციის წევრს, ქალბატონ თამუნა ჯაშს მუღლის, გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ქართველი ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის

## მინდია სალუქვაძის

გარდაცვალების გამო. თანავუზარძნობთ განსვენებულს შვილებს მანანა და მარინა სალუქვაძეებს.

მარინე და მათი კვებერელი-კოპაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუნყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, მრავალმხრივ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მოყვასის მოყვარული და თანამდგომი, მაღალზნეობრივი თვისებებით შემკული პიროვნება



## მინდია

## სალუქვაძე

და თანავუზარძნობთ განსვენებულს ოჯახს.

სისიზ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუნყება, რომ საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ღირსეული მამულიშვილი, არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მრავალი წლის განმავლობაში ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

## მინდია სალუქვაძე

და თანავუზარძნობთ უცხადებს განსვენებულს ოჯახსა და ინსტიტუტის კოლექტივს.

ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუნყება, რომ გარდაიცვალა არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

## მინდია სალუქვაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულს ოჯახს.

ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუნყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი, დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

## თამაზ ნაცვლიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულს ოჯახს.

## იტალიაში ქართველი პატიმარი ბაღრაძის თავს დაესხა

იტალიის ქალაქ პიზის ციხეში ქართველმა პატიმარმა ბაღრაძის სტემა. იტალიური მედიის ინფორმაციით, ინციდენტი პატიმრის საკნიდან გამოყვანის დროს მოხდა.



ციხის ბაღრაძის პატიმრის სხვა ადგილას გადაყვანის ცდილობდა, რადგან საქართველოს მოქალაქე ერთ-ერთ მათგანს თავში ჩაარტყა. ინციდენტის შემდეგ ციხის თანამშრომელს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს, მოგვიანებით კი, საავადმყოფოში გადაიყვანეს. იტალიური მედია წერს, რომ საქართველოს მოქალაქე ციხის თანამშრომლების მიმართ აგრესიულად წარსულშიც მოქმედებდა.

# ღმერთმა ნათელა ააყოფოს მისი სული



გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პედაგოგი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, ორგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ღვაწლმოსილი პიროვნება, აკადემიკოსი **მინდია სალუქვაძე**.

მინდია სალუქვაძემ 1950 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის 37-ე ვაჟთა საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სახელოვანი გზა განვლო საშუალო სკოლის მასწავლებლიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საინჟინრო პრობლემების, ენერგეტიკისა და გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივნამდე.

1961 წელს დაამთავრა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის ასპირანტურა სპეციალობით „ავტომატიური მართვა“. 1963 წელს დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში, მუშაობდა დაიწყო მართვის სისტემების ინსტიტუტში, სადაც განვლო გზა ლაბორატორიის ხელმძღვანელობიდან ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობამდე.

1974 წელს დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

2007 წლიდან ბატონი მინდია ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობდა.

1983 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1993 წელს – ნამდვილ წევრად.

1964 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, 1978 წლიდან იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს 140-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, ათი მონოგრაფია და სახელმძღვანელოები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის.

1979 წელს მონოგრაფიისათვის „ვექტორული ოპტიმიზაციის ამოცანები მართვის თეორიაში“ მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

1998 წელს მონოგრაფიისათვის „გარანტიათა ოპტიმიზაცია მართვის მრავალკრიტერიულ ამოცანებში“ პროფ. ვ. ჟუკოვსკისთან ერთად მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ნიკოლაძის სახელობის სახელმწიფო პრემია.


2004 წელს სახელმძღვანელოსათვის „ოპტიმალური და ადაპტიური სისტემები“ (თანავტორებთან ერთად – პროფ. ა. გუგუშვილი, აკად. ვ. ჭიჭინაძე) კიდევ ერთხელ მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

მ. სალუქვაძის ხელმძღვანელობით დაცულია 6 სადოქტორო და 16 საკანდიდატო დისერტაცია. წლების მანძილზე იყო ავტომატიური მართვის მსოფლიო ფედერაციის საქართველოს სექციის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე. 2016 წლიდან იყო საქართველოს და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის ჟურნალ „საქართველოს საინჟინრო სიახლენის“ (GEN) მთავარი რედაქტორი. იგი იყო რიგი სამეცნიერო საბჭოების, სამეცნიერო ორგანიზაციებისა და რედაქციების წევრი. 1992 წ. ბატონი მინდია აირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და სხვადასხვა დარგობრივი მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილ წევრად. წლების მანძილზე მინდია სალუქვაძე იყო საზოგადოება „მემორიალის“ თავმჯდომარე. აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, მრავალი სიგელითა და დიპლომით.

აკადემიკოს მინდია სალუქვაძის სახით ქართულმა სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებამ დაკარგა მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი და მოღვაწე. იგი ღირსეულად ადგო დაიძვინტერესდა საქართველოს ისტორიაში, როგორც მრავალმხრივი მკვლევარი და ახალგაზრდობის აღმზრდელი. ღმერთმა ნათელაში ააყოფოს მინდია სალუქვაძის სუელი.

**საპარტველო ტექნიკური უნივერსიტეტი;  
საპარტველო საინჟინრო აკადემია;  
საპარტველო ტექნიკური უნივერსიტეტის  
არჩილ ელიაშვილის სახელობის  
მართვის სისტემების ინსტიტუტი;  
საპარტველო საინჟინრო სიახლენის (GEN) რედაქცია.**

# სერგო ბოცირიკა



საქართველოს საინჟინრო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა ცნობილი ინჟინერი და საზოგადო მოღვაწე **სერგო ბოცირიკა**.

ს. გოცირიძე დაიბადა მოსკოვში 1940 წლის 13 თებერვალს.

1965 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სპეციალობით. ქ. კიევი დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ჰიდროტექნიკისა და მელორაციის დარგში.

1982-1983წ.წ. იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოს სასოფლო და წყალ-სამეურნეო მშენებლობის განყოფილების უფროსი რეფერატი. 1983-1988 წლებში მუშაობდა ცენტრალურ კომიტეტში.

1988 წელს გადაყვანილ იქნა საბინაო-კომუნიკალური მეურნეობის მინისტრის მოადგილედ. 1991 წლიდან დაინიშნა ქ. თბილისის ვიცე-მერად. 1994 წლიდან კონცერნ „საქსოფლმშენის“ თავმჯდომარის პირველი მოადგილეა. 1995 წლიდან იყო საქართველოს ბიზნესის განვითარებისა და კოორდინაციის საერთაშორისო ცენტრის გენერალური დირექტორი, 1997 წლიდან 1998 წლამდე – ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზების“ მარკეტინგის სამსახურის უფროსი, 1999 წლიდან 2006 წლამდე – ტელესაკომუნიკაციო კომპანია შ.პ.ს. „იბერიატელის“ გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე.

მის მიერ შექმნილი ჰიდროტექნიკური ნაგებობები შეტანილია ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გენერალურ სქემაში, 1980-1990 წლებში.

იყო სამი ახალი ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობების ავტორი, რომლებიც შეტანილია საერთაშორისო კატალოგებში.

ბატონი სერგო წლების მანძილზე კურირებდა მარნეულის პურკომბინატის, კანდლის სასათბურე მეურნეობის, ზემო სამგორისა და ალაზნის სარწყავი სისტემების, უდაბნოს მეცხოველეობის კომპლექსისა და დასახლებების, მიუსერის სამთავრობო აგარაკის მშენებლობებს, აღდგენით სამუშაოებს სტიქიით დაზარალებულ ზონებში, რუსთაველის გამზირისა და მისი შემოგარენის აღდგენითი სამუშაოების კონცეფციისა და მასტერ პლანის შედგენას. ასევე გოცირიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქ. თბილისში ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის ნორმატიული დოკუმენტების დამუშავებაში.

2008 წლიდან დღემდე იყო ნიუ-იორკის გამომცემლობა „Nova Science Publishers“-ის წარმომადგენელი საქართველოში და სამეცნიერო ჟურნალ „Georgian International Journal of Science and Technology“-ის რედაქტორი.

ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

**საპარტველო ტექნიკური უნივერსიტეტი;  
საპარტველო საინჟინრო აკადემია;**

**საპარტველო არქიტექტურა და მშენებლობის  
საინჟინრო საზოგადოებო ფონდი.**

# ალექსანდრე ჩადუნელი



საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და აღმზრდელი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი **ალექსანდრე ჩადუნელი**. იგი დაიბადა 1931 წლის 27 აგვისტოს ქ. ხაშურში, მოსამსახურის ოჯახში. 1950 წ. დაამთავრა თბილისის 37-ე საშუალო სკოლა „ოქროს მედალზე“. იმავე წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა წარჩინებით 1955 წ.


1955-56 წწ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელია.

1956 წლის ნოემბრიდან მუშაობას იწყებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, შემდგომში იგი იყო ინჟინერი და წამყვანი ინჟინერი. 1965 წელს მუშაობდა უფროს მეცნიერ-თანამშრომლად გამოთვლითი ტექნიკის სპეციალობით. 1967 წლიდან 1986 წლამდე გამოთვლითი ცენტრის „გამოთვლის საშუალებათა“ განყოფილების ხელმძღვანელია. 1986 წლიდან ხელმძღვანელობდა „გამოთვლითი ქსელები და ელექტრონული მოწყობილობები“ განყოფილებას. 2008-2017 წლებში სათავეში ედგა კომპიუტერულ ცენტრს.

ბატონი ალექსანდრე აქტიურად იღებდა მონაწილეობას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის განვითარებისა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკების აღზრდის საქმეში.

ალექსანდრე ჩადუნელის ცხოვრება და მოღვაწეობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა განვლო სიცოცხლე ჭეშმარიტმა ქართველმა მამულიშვილმა.

**საპარტველო ტექნიკური უნივერსიტეტი;  
საპარტველო საინჟინრო აკადემია;  
საპარტველო ტექნიკური უნივერსიტეტის  
ნ. მუსხელიშვილის სახელობის  
გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი.**



ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ჩვენი უსაყვარლესი, უერთგულესი, მუდამ სიცოცხლის ხალისით აღსავსე და მომღიძარი, უძვირფასესი მეგობარი, ცნობილი მხატვარი და პედაგოგი

ნუგზარ ცხომრეაშვილი

რომელსაც შინაური თუ გარეული სიყვარულით „ბუძას“ ვეძახით, 70 წლისაა!

კეთილი, თავისი ნახატებით მრავალფეროვანი და ლაღი ცხოვრებით კი ცხოვრობს ჩვენი ბუბა, მაგრამ ჩვენ, მის მეგობარ-ახლობლებს, მეტი სიმსვენე ჯანმრთელობა და ნათელი დღე გვინდა, ვუსურვოთ ყველას გულის გასახარად! მრავალფეროვანი, ჩვენი ძმობა!

ლოთარ ტურაბაშვილი, მამუკა ვაშაძე, ბია ბაბრიაძე, ალექსანდრე (შურა) ცხომრეაშვილი, გოგი ცხომრეაშვილი.

12 მაისი საქართველოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრობის დღედ აღგინდა და პიროვნულ დღესასწაულად გამოცხადდა

ამის შესახებ აღნიშნულია წმინდა სინოდის ახალ განჩინებაში. განჩინების ტექსტი ალავერდელმა მიტროპოლიტმა დავით მახარაძემ წაიკითხა.

ამასთან, წმინდა სინოდის განჩინებაში ასევე აღნიშნულია, რომ მომავალ წელს წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლიდან 1700 წელი სრულდება. წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის 17-საუკუნოვანი თარიღის ღირსეული აღნიშვნისთვის სინოდმა დაადგინა, რომ კარგი იქნება, თუ წმინდა ნინოს ნაკვალევზე, მოგზაურობაში, რომელიც მომავალ წელს ოცდამეათეჯერ გაიმართება, მონაწილეობას მიიღებენ სამღვდლოებებსა და მრევლისაგან შემდგარი ჯგუფები ყველა ეპარქიიდან.



„კრებამ მოისმინა ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტის დანიელის მოხსენება, სამოციქულო მსახურების შესახებ საქართველოს ეკლესიაში, რა არის გაკეთებული წარსულში და რა უნდა გაკეთდეს მომავალში. საქართველო არის ყოველდღე წმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, ანდრია პირველწოდებულის ქადაგებით განათლებული, უფლის მაღლითა და სიბრძნით. კრებამ განაჩინა, რომ 12 მაისი დადგინდეს საქართველოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრობის დღედ და გამოცხადდეს იგი ეროვნულ დღესასწაულად.“

მომავალ 2019 წელს სრულდება 1700 წელი წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლიდან. საეკლესიო დღესასწაული არ არის მხოლოდ ისტორიული ფაქტის გახსენება. იგი ასევე წარმოადგენს კონკრეტული ისტორიული მოვლენის შანსს ღვთის მიერ გარდა-მოვლენილი მაღლის განახლებას. წმინდა ნინოს შემობრძანებით მონიჭებული ღვთის კურთხევა, გახდა საფუძველი ჩვენი ერის ჭეშმარიტ სარწმუნოებაში გამოლიანებისა. მაღლის განახლება გახდება გვირგვინი, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სულიერი აღმავლობის პროცესებისა. წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის 17-საუკუნოვანი თარიღის ღირსეული აღნიშვნისთვის, ვფიქრობთ, კარგი იქნება თუ წმინდა ნინოს ნაკვალევზე, მოგზაურობაში, რომელიც მომავალ წელს ოცდამეათეჯერ გაიმართება, მონაწილეობას მიიღებენ სამღვდლოებებსა და მრევლისაგან შემდგარი ჯგუფები ყველა ეპარქიიდან“, - აღნიშნულია წმინდა სინოდის განცხადებაში.

ვინც უყრნადის ცობას!

დათვლილი მონატრება

ჩემს მეორევე წელიწადს, მე, ჩემი ძმა და მამაჩემი იმ რეალობით შევხვდით, რომ დედაჩემი სხვა ქვეყანაში სამუშაოდ უნდა წასულიყო. ასეც მოხდა და დაიწყო უდებო დღეები და მარადიული ნატვრა დედის ხელახლა ხილვისა. პირველად ამ დროს გავისიგრაქვანე გენდერული თანასწორობის ტვირთი, როდესაც ყველა საოჯახო საქმეს თანაბარი განაწილებით ვასრულებდით მე, მამაჩემი და ჩემი ძმა. სწორედ ამ პერიოდში დავიწყე ლექსების წერა, მსურდა, ვინმესთვის მეამბნა, რასაც ვგრძნობდი, რასაც განვიცდიდი, რაც მტკიოდა ან მიხაროდა. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ამის დამსახურებით მოვიწვევდით დარდი და ნალველი, მაგრამ გამაფრთხილებელი სიგნალები მამცნობდნენ, რომ ჩემი ჭეშმარიტი ბუნების წინააღმდეგ ვირჯებოდი. დღეს ვიცი, რომ ამას ნოსტალგია ჰქვია.



კარგად გავიცნობიერე, როცა უდებო დღეების ნაცვლად, უდებოდ ამოსუნთქვებისა და ჩასუნთქვების თვლა დავიწყე, ძალა გამომეცალა და დავემსგავსე ხის ფეხებზე მდგარ მორყეულ სახლს. ათასი წვიმა გადავიტანე, ათას ქარცეცხლს გაუძეველი, ნიაღვარიც უღვევი იყო... ოღონდ, ასევე უღვევი იყო მზიანი დღეებიც, რომლებიც აღწევდნენ ჩემს ფანჯრებში, რომელთაც ყოველ აისსა და მიმწუხრზე ჩემი ძმა და მამაჩემი აღებდნენ, ამ დროს შემოდოდა გარე სამყაროს მტვერი, რაც ჩემს ავეჯს ეფინებოდა, ავეჯს, რომელიც არ მქონდა. სამაგიეროდ, მქონდა უსაზღვრო ფანტაზია და საოცარი მიზანი, რომ დამენახა და მეგულისხმა ის, რაც არ მქონდა, ასე მოვალნიე აქამდე, ასე გავლიე ბოლო ცხრა წელიწადი.

თუმცა ეს ყველაფერი არაფერია იმასთან, რასაც ღვთისმშობლის დღეები რეალურ სამყაროსგან გრძნობენ მსგავს სიტუაციებში, მაშინ როდესაც არც ხის ფეხებზე მდგარი სახლი აქვთ და არც ქმარ-შვილის მზისაგან გამთბარი ხელები.

ზემოთ ცხრა წელიწადი ვახსენე, ეს მხოლოდ წლებია, მხოლოდ დრო, რომელიც გადის და ქრება, ხოლო ამ ცხრა წელიწადში 95 მილიონი უდებოდ ამოსუნთქვა დროსთან ერთად არასდროს კვდება, თითოეული ზედმინევიტით მახსოვს, ხოლო ამ ყველაფერს კიდევ 95 მილიონი შვილმომცილებული დედის ჩასუნთქვას დავუმატებთ, უფრო დამაჯერებელი იქნება, რომ ეს სუნთქვები უფრო მარადიულია, ვიდრე ცხრა წელიწადი.


შალვა ბერიანიძე, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის IV კურსის სტუდენტი. სურათზე: შალვა ბერიანიძე დედასთან

შოპა თვითმფრინავში აღინიშნა...

ოპანიოს მცხოვრებმა ჰალ ვოგანმა ბორტგამცილებელ შვილთან ერთად შობის გასატარებლად, ორი დღე ცაში გაატარა. როგორც აღმოჩნდა, ვოგანის ქალიშვილი პირსი, შობის დღეს მუშაობდა. მამამ ორი დღის განმავლობაში ყველა იმ რეისზე იყიდა ბილეთი, რომელზეც შვილი მუშაობდა, რათა ის შობას მარტო არ შეხვედროდა.

ისტორია მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ჰალის გვერდით მჯდომმა მამაკაცმა ფეისბუქზე დაწერა.

„მქონდა პატივი, ჰალის გვერდზე მჯდომს მემგზავრა სახლამდე. მის ქალიშვილს პირსს, რომელიც ჩვენს რეისზე ბორტგამცილებელი იყო, შობას მუშაობა მოუწია. ჰალმა გადაწყვიტა, რომ დღესასწაული შვილთან ერთად გაეტარებინა. ასე რომ, ის გუშინ და დღეს შვილთან ერთად დაფრინავს და შობას მასთან ერთად ატარებს. რა ფანტასტიკური მამა! ორივეს ბედნიერ შობას გისურვებთ!“



წერს მაიკი.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA კოსტავას ძ. №21 მთავარი რედაქტორი სპარტაკ ძოგულია 299-02-10 599 36-00-35 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიაშვილი 599 53-76-16; ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86; პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაძე 514 33-33-24 გამომცემლობა: შპს „თანადგომა“-ტაგუთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“-ტაგუთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ იბეჭდება გამომცემლობა „ქოლორ პრესში“ რკინიგზის ჩიხი №20 uac(უაჯ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3851 9 772 233 385 001 ავტორთა საჩურაღლეოდ! რედაქციის მიერ შუამკვეთთა ვისაღები დაინიშნება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აბეზან ავტორები.

გაზეთის მომწოდებელი ნომერი გაიშვა პარასკევს, 4 იანვარს

Table with subscription information: უსსოპრი ვალუტის კურსი: აშშ დოლარი - 2.6689; ბრიტანული გირანაბა სტერლინგი - 3.3711; 100 რუბლი - 3.8540; თურქული ლირა - 0.5020; აზერბაიჯანული მანათი - 1.5746; 1000 სომხური დრამი - 5.5086. აპრილი 29 დეკემბრისთვის: აპრილი 29 დეკემბრისთვის: ბარა - ლაშქ -4, ლაშქ +5; შიშანი რაიონები - ლაშქ -12, ლაშქ +1; ფანსაკლიის საპროვინციო: ბარა - ლაშქ -2, ლაშქ +10; შიშანი რაიონები - ლაშქ -9, ლაშქ +4; თიანეთი: ლაშქ -3, ლაშქ +5. დაავიკავით, მოგვწავით: ტელ: 299-02-10, 599-79-76-79 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge